N148/3078/ 8 ოქტომბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

„ნაციონალების“ „ზონდერები“ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ მძლეოსნობის მწვრთნელთა სიაშიც აღმოაჩინეს



## რას ამბობს ბიძინა ივანიშვილის ყოფილი თანამებრძოლი გია ხუხაშვილი ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნაზე

რა კომპლექსები გაუჩნდათ კოალიციის წევრებს?



ალეკო ელისაშვილი:

„ესაა მარგველაშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ნაწილი და უნდათ, რომ ერთადერთი ქმედითი ბერკეტი, რაც აქვს პრეზიდენტს, შეწყალება, წაართვან და გადასცენ პრემიერ-მინისტრს“



## რაზე იმსჯელეს „ქართული ოცნების“ დახურულ სხდომაზე, ჯანყარაშვილის არჩევის გარდა?

## ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, გიგი უგულავას გამოწერილი პრემია ერქმევა თუ დავით ნარმანიას სახელფასო დანამატი?



ჯონდი ბაღათურია:

„ყველა, ვინც ჭკვიანია „ოცნებაში“, ხვდება, რომ მათი პოლიტიკური ძალის საქმე არის ძალიან ცუდად“



„მიჭირხვნა“ ქობულეთში — რა ბედი ელის მედიას „ჯორჯია პალასში“ თათბირის შემდეგ





## მეტროში მამაკაცი გარდაიცვალა

მეტროსადგურ „პოლიტექნიკურში“ მამაკაცი გარდაიცვალა. თვითმხილველის ცნობით, მამაკაცი მეტროში ჩადიოდა, მოულოდნელად ცუდად გახდა და გარდაიცვალა.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული. ფაქტს შს სამინისტროც ადასტურებს. (ფრონტნიუსი)

## ქართული ჯარი ეტაპობრივად ქართული იარაღით აღიჭურვება




თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, საქართველოს საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით სერიოზული პროგრესი აქვს.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს სამხედრო მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით. გვაქვს სერიოზული პოტენციალი, სერიოზული თანამედროვე ტექნიკა გვაქვს ქარხნის სახით შეძენილი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, რომ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადავდგათ. ბოლო პერიოდში ჩვენმა ქარხნებმა გარკვეულ საერთაშორისო ტენდერებში გაიმარჯვეს. ამდენად, ამ მიმართულებით სერიოზული პროგრესი გვაქვს და იმედი მაქვს, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ შევძლებთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ეტაპობრივად საკუთარი ძალებით აღჭურვას. რა თქმა უნდა, არა ყველაფრით, მაგრამ ეს არის პროცესი და მას ნატო და ჩვენი პარტნიორი ქვეყნები მხარს დაუჭერენ“, – განაცხადა სესიაშვილმა. (ფრონტნიუსი)

## „ყველა პოლიციელი საკუთარ ჩვენებაში ადასტურებს, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონია“




22 წლის ახალგაზრდას მკვლელობაში ბრალდებული, უფლებამოსილებაშეჩერებული პოლიციელი ლაშა ჯიხვაშვილი სასამართლოს მიერ შეფარდებულ აღმკვეთ ღონისძიებას სააპელაციო წესით გაასაჩივრებს. ბრალდებულის ადვოკატის, თეიმურაზ ბუცხრიკიძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ბრალდებას არ ეთანხმება და ამ ეტაპისთვის დუმილის უფლებას იყენებს.

გარდა ამისა, როგორც ადვოკატი აცხადებს, თავად ფაქტს ჰყავს თვითმხილველები, რომლებიც ადასტურებენ, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონია.

„ეს იყო დაკავების ოპერაცია. ადგილზე იყვნენ სხვა პოლიციელებიც. პროკურატურამ ისინი დაკითხა და ყველა პოლიციელი საკუთარ ჩვენებაში ადასტურებს, რომ განზრახ მკვლელობას ადგილი არ ჰქონია“, – განაცხადა ადვოკატმა.

შეგახსენებთ, რომ ლაშა ჯიხვაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. მოკლული ახალგაზრდის მეგობრები აცხადებენ, რომ დაკავებული ყოფილი პოლიციელის მეგობრები მათ დაპატიმრებით ემუქრებიან. (ფრონტნიუსი)

## ხადურის განცხადებით, 2015 წლიდან პენსიები გაიზრდება



„2015 წელს პენსიების ზრდა მოხდება. თუ რა მოცულობით მოხდება, ეს უახლოესი 2 თვის განმავლობაში გახდება ცნობილი, მაგრამ პენსიები 2015-2016 წლებში აუცილებლად გაიზრდება და გაეზრდება ყველას“, – აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

საპარლამენტო უმცირესობის წევრთა განცხადებით კი, ისინი ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტს მხარს არ დაუჭერენ, რადგან ის უმუშევრობის ბიუჯეტია.

„ეს ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე არ არის ორიენტირებული, ეს არის უმუშევრობის ბიუჯეტი. თვალშისაცემია, რომ მთავრობა, ისევე, როგორც წელს, მომავალ წელსაც გეგმავს დიდი ოდენობით ვალის აღებას. დაგეგმილია 1 მილიარდ 300 მილიონის ვალად აღება, რაც ნიშნავს, რომ ოლიგარქის ხელისუფლებამ ქვეყანას 2 წელიწადში 3 მილიარდის ვალი ააღებინა და ეს სერიოზული პრობლემაა“, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

რაც შეეხება უმრავლესობას, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, რიგ საკითხებთან დაკავშირებით დეპუტატებისთვის მეტად დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო.

„გამოიკვეთა 2-3 საკითხი, რომლებზეც ჩვენ უფრო კონკრეტული პასუხები გვჭირდება. ეს არის ზოგადად პენსიების ზრდის საკითხი. მინისტრმა განაცხადა, რომ ზრდა 2015-2016 წლებში იქნება, ამიტომ პარლამენტსა და კონკრეტულად ჩვენ გვაინტერესებს, რა იგულისხმება ამაში, რომელ კატეგორიებს შეეხებათ. პირადად მე მიმაჩნია, რომ ზრდა ყველა კატეგორიას უნდა შეეხოს და მათ შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს“, – განაცხადა ონოფრიშვილმა. (ფრონტნიუსი)





## თბილისის ზოოპარკის თეთრმა ვეფხვმა სამი ბოკვერი დაბადა

თბილისის ზოოპარკის თეთრი ვეფხვი კამერონი დედა გახდა. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაციის განცხადებაშია ნათქვამი, ზოოპარკს სამი ბოკვერი შეემატა.

„ჩვენს სამშობიაროში სასიხარულო ამბავი გვაქვს! ჩვენი თეთრი ვეფხვი, კამერონი 3 ვარდისფერცხვირიანი, ლუნლულა ბოკვრის დედა გახდა! პატარები ჯანმრთელები და აქტიურები არიან, თვალდახუჭულები, ბანცალ-ბანცალით სულ დედიკოს ძუძუკებს დაეძებენ, როგორც კი მიაგნებიან, ჩაებღაუჭებიან, გამოძღებიან, გაიტიკნებიან და ტკბილად იძინებენ. კამერონიც კარგად გრძნობს თავს. ლოკავს და თავს ევლება შვილებს. ერთადერთი შეწუხებული არსება ამ სიტუაციაში ბავშვების მამა, დიდი და მრისხანე მაქსიმუსია. ვერ გაუგია, ასეთი რა მნიშვნელოვანი საქმე გამოუჩნდა მის ლამაზ მეუღლეს, ქმრისთვის რომ ველარ იცლის“. – ნათქვამია განცხადებაში. (ფრონტნიუსი)

## ქალთა საპატიმროს თანამშრომელი ციხეში ნარკოტიკის შეტანისთვის დააკავეს



სამართალდამცველებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 ქალთა საპატიმროს თანამშრომელი ე.გ. დააკავეს. წყაროს ცნობით, ქალბატონი ქალთა საპატიმროში ოპერატიული მორიგეს თანამდებობაზე მუშაობდა.

„ფრონტნიუსი“ ინფორმაციის სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადამოწმებას შეეცადება. (ფრონტნიუსი)

## დევნილები ფოთიდან თბილისში ფეხით ჩამოვიდნენ



სამმა ადამიანმა მანძილის გავლას 8 დღე მოანდომა. ისინი მთავრობის კანცელარიაში მივიდნენ და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას უშედეგოდ ელოდებიან.

„8 დღე მოვდიოდით, მძიმე პერიოდი გამოვიარეთ, ფაქტობრივად, ჯოჯოხეთი, წვიმაში, თქეშში, შეუსვენებლად მოვდიოდით. უკან მანქანა მოგვყვებოდა, არ ამბობდნენ, ვინ იყვნენ, ვვარაუდობთ, რომ უშიშროებიდან: ფოტოებს გვიღებდნენ და გვაკონტროლებდნენ. თბილისში ჩამოვედით, როგორც იქნა, და ყურადღებას არავინ გვაქცევს, პრემიერთან გვინდა შეხვედრა და პასუხების მოსმენა, თუმცა თავს არ იწუხებს. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი რაღაც არ ხდება, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს რა არის?! არ აინტერესებთ ხალხი? მხოლოდ არჩევნებზე ვახსენდებით? გამოვიდნენ და დაგვიმტკიცონ, რომ წინა ხელისუფლებაზე უკეთესები არიან“. – განაცხადა აქციის მონაწილე დარეჯან ცხვიტარიამ.

ცნობისათვის, 17-მდე დევნილი ოჯახი ფოთში, ახალაშენებულ კორპუსში ბინების გადაცემას ითხოვს. მათი თქმით, ფართები უსამართლოდ განაწილდა და ამის გამო დარჩნენ უბინაოდ. სწორედ ამ მიზეზით შიმშილობდნენ ისინი ფოთის მერიის შენობაში რამდენიმე დღის განმავლობაში, რამაც შედეგი არ გამოიღო და თბილისში ფეხით ჩამოსვლა გადაწყვიტეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შესახვედრად. (ფრონტნიუსი)

## „რუსთავი 2“-ის გარშემო საეჭვო პროცესები მიმდინარეობს“



„ნაციონალი“ დეპუტატის, გოკა გაბაშვილის თქმით, მთელი ფინანსური პოლიციის რესურსია გადართული იქითკენ, რომ „რაღაც მეთოდებით „რუსთავი 2“ ხელში ჩაიგდოს ბიძინა ივანიშვილმა.

„ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია, ეს ღიად უთქვამს არაერთხელ ხელისუფლებას, მათ შორის ივანიშვილსა და კალაძეს, რომ თითქოს საკუთრების პრობლემები იყოს, თუმცა მათ საკუთრების პრობლემა არ აწუხებთ, აქ, მათი აზრით, მიუღებელ საინფორმაციო პოლიტიკაზეა საუბარი. წარმოუდგენელია, ვინც ჟურნალისტურ საქმიანობას იცნობს, პროპაგანდისტული მანქანა იყოს ყველაზე პოპულარული, რადგან მაყურებელი აფასებს ხარისხს, რაც ტელევიზიიდან მოდის. ისინი ამუშავებენ ყველაფერს, რომ „რუსთავი 2“ ჩაიგდონ ხელში“, – განაცხადა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)




## დიღომში ავარიას ახალგაზრდა გოგონა ემსხვერპლა

თბილისში, დიღმის გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, გოგონა მეგობარ ბიჭთან ერთად მოტოციკლით მოძრაობდა, რა დროსაც ისინი სატვირთო ავტომობილს შეეჯახნენ. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რაზე იმსჯელეს „ქართული ოცნების“ დახურულ სხდომაზე, ჯანყარაშვილის არჩევის გარდა?

**6 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს წევრებმა პარტიის სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. გარდა იმისა, რომ აღმასრულებელ მდივნად ჯანყარაშვილი აირჩიეს, ასევე იყო საუბარი პარტიის „კაპიტალურ რემონტზე“.**

**როგორც პოლიტსაბჭოს ერთ-ერთი წევრი, ეკა ბესელია ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სხდომაზე დაისახა გეგმა, როგორ უნდა გააქტიურდნენ პარტიასთან ერთად მხარდამჭერები და აქტივისტები:**



– ჩვენ ვიმსჯელეთ პარტიის საქმიანობაზე, შემდგომ ეტაპზე, რეგიონებში ჩვენი მხარდამჭერებისა და წევრების გააქტიურებაზე. ასევე, პარტიული სტრუქტურების გაძლიერებაზე და ახალი სტრუქტურების დამატებაზე. ზვიად ჯანყარაშვილი ამ ყველაფერში დაგვეხმარება, ის გაუძღვება საორგანიზაციო და შიდა მართვის საკითხებს. ასევე ვიმსჯელეთ პარტიაში გაწევრიანების საკითხზე, საგარეო საკითხებზე, სტრატეგიაზე...

**— თქვენი ძირითადი სტრატეგია რა არის?**

– პარტიის გაძლიერება და რეგიონული ორგანიზაციების შესწავლა. ცვლილებები ჯერ არ არის აუცილებელი.

**— როგორც ჩანს, ამ ეტაპზე რეგიონული ორგანიზაციების გაძლიერებაზე ფიქრობენ, მაგრამ როგორ?**

– რეგიონებში არსებობს ორგანიზაციები, სადაც ერთმანეთში არიან არეულები კოალიციაში შემავალი პარტიები. ერთს

**როგორც ხედავთ, პარტიის სამომავლო გეგმები მთლიანად აგებულია ზვიად ჯანყარაშვილის პერსონაზე. როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მერაბ შათირიშვილი ამბობს, ჯანყარაშვილის დანიშვნა პარტიისთვის სარგებლობის მომტანი კი იქნება, მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს ნამდვილად ვერ მოიყვანს:**



**— მერაბ, შეიძლება ჯანყარაშვილმა პარტია ორგანიზაციულად გამართოს, მაგრამ იდეურად მაინც „სარემონტო“ დარჩეს.**

– აღმასრულებელმა მდივანმა პარტია უნდა გამართოს ორგანიზაციულად, დანარჩენი სხვების გასაკეთებელია. პარტია დგება ჯანყარაშვილის მხრებზე, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: გააკეთებს? შეძლებს? „ქართულ ოცნებას“ უკვე იმდენი გულანთებული ადამიანი ჰყავს განაწყენებული, არა მგონია, ეს ხალხი ჩაანაცვლოს სხვა სახეებით. რაც შეეხება გაწევრიანებას, ჩემი აზრით, ამას ბუნებრივად მოჰყვება ანგარება, დაიწყება გაწევრიანების სანაცვლოდ რაღაცების მოთხოვნა, მერე ისევ განაწყენება და ასე შემდეგ. მე მაინტერესებს, გაწევრიანების საკითხი აქამდე რატომ არავის ახსოვდა, 2016 წელი მოახლოვდა და ახლა დაიწყეს ამაზე ფიქრი? ახლა კაცობა ის იქნება, თუკი „ქართული ოცნების“ მესვეურები განაწყენებულებთან გამართავენ დიალოგს და ისევ შემოაბრუნებენ. ეს იქნება უმადურობისთვის ერთგვარი კომპენსაცია. ბოდიში არავის სჭირდება, უბრალოდ საუბარი და ახსნა-განმარტებაა საჭირო. თუ ეს ნაბიჯი არ გადაიდგა, მერწმუნეთ, პარტიას არანაირი შედეგი არ ექნება.

გასწევ? ეწყინება და მეორეს დაუწყებს ბრძოლას. ძველ მანქანაზე რამდენი მძღოლიც არ უნდა დასვა, მაინც ძველი და მოფახფახებული იქნება. დღეს „ქართულ ოცნებას“ სჭირდება კაპიტალურად გარემონტება, სადგომში უნდა შევიდეს, დაიშალოს და თავიდან აიწყოს. მარტო მძღოლების გამოცვლა შედეგს არ მოიტანს.

**— კაპიტალურ რემონტს სჭირდება კარგი მასალა.**

– დიახ, მეც მაგას ვამბობ, უკვე მოსაბეზრებელი გახდა 6 პარტიის ერთად ყოფნა. შე მამაცხონებულო, იმის თავიც აღარ გაქვს, რომ საკუთარ თავს მიხედო? სულ მალე აღარ იქნება განსხვავება „რესპუბლიკურ პარტიას“, „თავისუფალ დემოკრატებს“, „კონსერვატორებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. ამ უკანასკნელმა ერთ დროს შეძენილი კარგი სამშენებლო მასალა, რომლითაც პარტია უნდა აშენებულიყო, დაკარგა და მედროვეები შეიძინა. ამათ აკრიფეს სამსახურისთვის მორბენალი ხალხი. რა ხდება, რა უბედურებაა? ალბათ გახსოვს, რა ამბები იყო ატეხილი, პრემიების გამოწერასთან დაკავშირებით. ახლა თბილისის მერს გამოაქვს გადაწყვეტილება, მის ხელქვეითებს, გამგებლებს და სხვადასხვა სამსახურების უფროსებს უორმაგდებათ ხელფასები დანამატის სახით, თუ ადამიანს აქვს 3 ათასი ლარი, მიიღებს 6 ათასს. ამათ ხელფასები კი არ უნდა გაუორმაგო, უნდა გაუნახევრო. ახლა ამიხსნას ვინმემ, ამ საქმეს ჯანყარაშვილი უშველის? თუ ვინმე დავით ნარმანიას შეეხება, ეგრევე გამორბიან „ქართული ოცნების“ დეპუტატები და ყვირიან: ნარმანია შესანიშნავი მერია! კი, მაგრამ ჩვენ ვინმეს მერის დახასიათებას ვთხოვთ? ჩვენ ვკითხულობთ, რა ხდება მერიაში. მე არ ვიცი, საიდან მოაქვთ ასეთი მიდგომები?!

რაც ხდება მერიაში, ის ხდება ქვეყანაშიც. მე არ ვიცი, როგორ გაძლიერდება „ქართული ოცნება“. ერთ რამეს აშკარად ვხედავ – ძლიერდება „ნაცმოძრაობა“, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი წესით, საერთოდ უნდა აიკრძალოს. სააკაშვილის ბანდა რომ ხელისუფლებაში ვერასოდეს მობრუნდება, ეს ცხადია, მაგრამ ამასობაში საერთო საქმე ფუჭდება. დღეს რატომღაც „ნაცმოძრაობა“ ითვლება ევროპული ღირებულებების მატარებელ ძალად. არადა, პირიქითაა, სააკაშვილის ხროვა საქართველოში ასამარებს ევროპულ ღირებულებებს. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება და მე ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ დუმილი იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს რაღაც გარიგებასთან. თუ ვინმე ფიქრობს, რომ 2016 წლის არჩევნებიც ისევე უნდა გადააგორონ, როგორც 2012 წლის არჩევნები, თუ ვინმე ხმების გაყოფაზე და ისევ პარლამენტში წამოჯდომაზე ოცნებობს, არ გამოვა, ხალხი ამას არ დაუშვებს – ორივე ძალა გადაჰყვება ამ პოლიტიკურ თამაშს. მე მაინტერესებს, ზვიად ჯანყარაშვილი ამას დაუსვამს წერტილს? ვნახოთ!

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე განათლების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს



განათლების მინისტრი სტატუსშეჩერებული სტუდენტების საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფს შეხვდება.

„ვინაიდან ამ საკითხის მიმართ ინტერესი დიდია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე დაინტერესებულ სტუდენტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფთან გამართავს შეხვედრას.

შეხვედრის ორგანიზების მიზნით, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსს ვალერი გობრონიძეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელ ხაზზე: 2 200 220“, – აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)



## რუსმა ოკუპანტებმა ორი პირი გაიტაცეს

გორის რაიონის, სოფელ ქვეშის მიმდებარე ტერიტორიიდან, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ორი პირი გაიტაცეს. ცოლ-ქმარი ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქვეშთან ახლოს ცხოვრობს და ისინი პირობითი საზღვრის გავლით სოფელ ქვეშში ნათესავთან გადმოდიოდნენ.

არსებული ინფორმაციით, დაკავებულები ამ დროისთვის რუსულ სამხედრო ბაზაზე არიან გადაყვანილნი. მათ ადმინისტრაციული საზღვრის უკანონო დარღვევაში ადანაშაულებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ გამკაცრდა სავიზო რეჟიმი საქართველოში?




ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეტაპობრივად დაიწყო ქვეყანაში საიმიგრაციო პოლიტიკას გამკაცრება. ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებასთან ერთად საქართველოს მთავრობას ეკისრება კონკრეტული სფეროების რეფორმირების ვალდებულება, მათ შორის მიგრაციის პოლიტიკის მიმართულებით.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაინტერესება საქართველოთი. შედეგად იმატა, როგორც ლტოლვილის სტატუსის მინიჭების განცხადებათა რაოდენობამ, ისე საქართველოს მოქალაქეობისა და ბინადრობის მინიჭების შემთხვევებმა.

უცილებელია საქართველოს მთავრობის მიერ აშკარა და არაორაზროვანი გზავნილების მიწოდება საერთაშორისო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს არა სავიზო რეჟიმის გამკაცრება, არამედ საიმიგრაციო პოლიტიკის მოწესრიგება. (ნიუპოსტი)

როცა ნარმანიას თბილისის მერად ვირჩევდით, ის და მისი თანაგუნდელები „ქართული ოცნებიდან“, იმას ნამდვილად არ აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნებდნენ და ათასობით ლარს დაიმატებდნენ ხელფასზე. არ ვიცი, მომავალში იქნებ, წინასაარჩევნო დანაპირებების შესრულებაც დაიწყონ, მაგრამ ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ დედაქალაქში, რომ შემოსავალი გაეორმაგებინათ.

დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო დაწესებულებებში პრემიების შესახებ კანონი მიიღო, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გაიცემა და ისიც, მაქსიმუმ, ერთი თვის ხელფასო დანამატებს. დავით ნარმანიამ, რამდენადაც ვიცი, პრემიები არ გამოუწერა თავის თანამშრომლებს...



გამოხვრისთვისაც მოიშორა თავიდან და რბილ სავარძლებს რომ მოერგეთ, იგივეს აკეთებთ, ჩვენი ფულების ჭამა დაიწყეთ? ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, გიგი უგულავას გამოწერილი პრემია ერქმევა თუ დავით ნარმანიას სახელფასო დანამატი?

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ, თუკი ნარმანიამ დანამატების თანხის ოდენობა არ დამალა, „ნაციონალებს“ ყველაფერი „მიმალული“ ჰქონდათ. ნარმანიასა და უგულავას დროინდელი დანამატ-პრემიების შედარება გვინდოდა, მაგრამ უგულავასდროინდელი მერიის ელექტრონულ მონაცემებში გამოწერილი პრემიების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. ერთადერთი, თბილისში „ნაციონალური“ მმართველობის ბოლო დღეების დროინდელი პრემიები გაგვახსენდა, როცა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, სევდია უგრეხელიძემ და სხვა, მაღალი თანამდებობის პირებმა 5-10 ათასი ლარის პრემიები გამოიწერეს.

**— რა მნიშვნელობა აქვს, პრემია ერქმევა თუ დანამატი, შემოსავალი ხომ გაიორმაგეს?**

– დანამატის ოდენობა შესაბამისი აქტებით განისაზღვრება, პრემიების გაცემა კი ხელმძღვანელის ნებაზეა დამოკიდებული. ეს ნება კი, ყველანაირ ზღვარს იყო ადრე გადაცილებული. თბილისის მერიამ გაავრცელა განცხადება, რომ ეს დანამატების სისტემა წლის ბოლომდე იმოქმედებს და მერე გადაიხედება. მერიამ მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები, რათა საბოლოოდ ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც უკეთესი იქნება და რომლის საფუძველზეც გაიცემა შემდგომში ასეთი დანამატები.

# ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, გიგი უგულავას გამოწერილი პრემია ერქმევა თუ დავით ნარმანიას სახელფასო დანამატი?

ფასის ოდენობის. ნარმანიამ გასაცემ თანხას სახელფასო დანამატი დაარქვა და პრემიებზე გამოცემული კანონი არ შეეხება. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, მერიის კონკრეტული ჩინოვნიკი, რამდენიმე ათას ლარს სახელფასო დანამატის სახით აიღებს თუ პრემიის სახით?

თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ მერიის მაღალჩინოსნებს მაღალი ხელფასები არ აკმარა და 26 თანამდებობის პირი, 4 თვის განმავლობაში, 152 000 ლარს აიღებს. მერიის ბრძანებულების მიხედვით, ამ ნოვაციას სახელფასო დანამატი ჰქვია და 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან წლის ბოლომდე უნდა გაიცეს. ნარმანიამ ის 26 ჩინოვნიკიც გამოყო, რომლებიც ამ დანამატს აიღებენ: დედაქალაქის ვიცე-მერი – 3540 ლარი, მერის მოადგილე – 3360, მერიის ადმინისტრაციის უფროსი – 3180, მისი პირველი მოადგილე – 2000 და მოადგილე – 1800, საქალაქო სამსახურის უფროსები – 2600, რაიონის გამგებლები – 2600, რაიონის გამგებლის მოადგილეები – 1800, მერიის აპარატის (სამსახურის) მრჩეველი – 1300. როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ნარმანიას თავისთვის დანამატი არ გამოუწერია.

ნარმანიას ამ გადაწყვეტილებას „ქართული ოცნებიდან“ მხარდამჭერები არ მოჰკლებია, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, რიმა ბერიძის განცხადება, – საჯარო მოხელეს 24-საათიან რეჟიმში უწევს მუშაობა და მისი შრომა შესაბამისი ანაზღაურებით უნდა დაფასდესო. ეს რა არგუმენტია? რაღაც მეეჭვება, 24-საათიან რეჟიმში უწევდეთ მუშაობა მერიის მაღალჩინოსნებს და თუ ეს ასეა, მაშინ ამ ჩინოვნიკთა კვალიფიკაციაა ასამაღლებელი. თუ მართლა მუდმივად სამსახურშია და ამ სამსახურს, კანონით დადგენილ ვადებში ვერ ასრულებს, მაშინ უკვე მათი პროფესიონალიზმი დგება ეჭვქვეშ.

დავუშვათ, რიმა ბერიძე მართალია, მერიის ჩინოვნიკები თავებს იხოცავენ მუშაობითა და ხალხზე ზრუნვით და ამიტომ, და არა დაბალი კვალიფიკაციის გამო, უწევთ 24-საათიანი მუშაობა. ვისაც ახლა ხელფასი ეცოტავება და მერმა მათ ამ დანამატით უნდა შეუვსოს მოთხოვნილება, ამ ხალხმა, ვიდრე თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ, ხომ იცოდნენ, ხელფასი რამდენი ექნებოდათ? ვინ დააძალათ? უარი ეთქვათ ასეთ სამსახურზე. ახლა კი, კეთილი ინებონ და იმუშაონ მხოლოდ ხელფასზე და ყოველგვარი დანამატის გარეშე. არ გყოფნით ახლა ხელფასი? კეთილი ინებეთ, დატოვეთ ეგ სამსახურები და ისეთი ხალხი მიუშვით, ვინც მარტო ხელფასს იკმარებს. ასეთი, ხელფასზე მიმუშავე პროფესიონალი ძალიან ბევრია ქვეყანაში.

3 თვის მოსულია დავით ნარმანია და მისი გუნდი თბილისის მთავრობაში და ვინმეს რაიმე ღირებული გახსოვთ, ამ 3 თვეში გაეკეთებინოთ? მე ვერ ვიხსენებ. „ნაციონალების“ მადლიერი მტერი იყოს, მაგრამ ასეთ მოკლე ვადაში, მათ არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი მაინც განახორციელეს, ზოგი ბოლომდე მიიყვანეს და ზოგიც დაიწყეს. 3 თვე ბევრი არ არის, მაგრამ, თუ მოინდომე, რაღაცა თვალში მოსახვედრი საქმის გაკეთებას მოასწრებ. ყველაფერს თავი დავანებოთ, მიკროავტობუსების მძღოლთა პრობლემის მოგვარება ვერ მოესწრებოდა ამ 3 თვეში? ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ოთხი კომპანია ერთ დღეში, ერთ რესტორანში დარეგისტრირდა და სავარაუდოდ, კორუფციული გზით მოიგო მიკროავტობუსების ტენდერი და როგორც მძღოლები ამბობენ, ტყავს აძრობენ. რა ედგა წინ ამ კომპანიებთან კონტრაქტების გადახედვას?

„ნაციონალებსა“ და გიგი უგულავას გუნდს იმავეს ვუკიჟინებდით, რომ ხელფასისოდენა პრემიებს იღებდნენ ყოველთვიურად. ყველაფერთან ერთად, მოსახლეობამ „ნაციონალები“ ბიუჯეტის თანხების

**მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ საჯარო მოხელეს დიდი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს და ნარმანია სწორად მოიქცა, მაგრამ „ალიას“ კითხვები გაუჩნდა და მათზე საპასუხოდ საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, გია ცაგარეიშვილს დაუკავშირდა:**

**— ბატონო გია, რას იტყვით თბილისის მერის გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც, მერიის მაღალჩინოსნებს სახელფასო დანამატები მიეცემათ ყოველთვიურად?**

– მე არ მგონია, დანამატების თანხებთან დაკავშირებით ეს გადაწყვეტილება უკანონოდ იყოს მიღებული. ადგილობრივი თვითმმართველობები თავად წყვეტენ ამ საკითხს, მთავრობის მიერ მიღებული რეგულაციები არ ვრცელდება მათზე. იმედია, თბილისის მერიის ახალი ხელმძღვანელები ამ რეალობას გაითვალისწინებენ და ამის შესაბამისად გამოიწერენ ამ სახელ-

**— თბილისში უმძიმესი სოციალური ფონია, ხალხი მშიერია, წამლის ფული არ აქვს, გარდა ამისა, მერი თავად აცხადებს, გიგი უგულავამ ცარიელი ბიუჯეტი დაგვიტოვა და სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, 30-მილიონიან კრედიტს იღებს კომერციული ბანკიდან. აქვე ისიც ვთქვათ, რომ არჩევნების წინ დავით ნარმანია ხალხს იმას არ ჰპირდებოდა, მერი რომ გავხდები, 3 თვეში ხელფასებს გავუორმაგებ ჩემს თანამშრომლებსო. ამ ყველაფრის ფონზე, რა მორალური გამართლება შეიძლება ჰქონდეს მის ამ გადაწყვეტილებას?**

– აბსოლუტურად ვიზიარებ თქვენს შეფასებას, კარგია, რომ მედიამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მყისიერი რეაგირება მოახდინეთ ამ საკითხზე და შესაბამისი შეფასებები გაკეთდა. იმედია, მერიის ხელმძღვანელები ადეკვატურნი იქნებიან იმ სიტუაციისა, რაც არის თბილისში, უამრავი შეჭირვებული ცხოვრობს ამ ქალაქში. ვფიქრობ, საზოგადოებრივ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს ყველა სახელმწიფო სამსახური და უნდა გაიზიარონ კრიტიკული, მაგრამ სამართლიანი შეფასებები. დავიცადოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საგამოძიებო სამსახურმა თორმეტი პირი დააკავა



შიდა ქართლში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი საგადასახადო დოკუმენტების ჯგუფურად დამზადება-გასაღებისა და ქრთამის აღების ფაქტზე თორმეტი მოქალაქე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, სისტემატურად ახორციელებდა ატენის ხეობაში არსებული ტყიდან ძვირფასი სამასალე ჯიშის მრგვალი ხის მორის უკანონოდ მოპოვებას, ხოლო დანაშაულისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, სახერხ საამქროებში უკანონოდ დახერხვის შემდეგ, გაყიდვის ზედნადების ნაცვლად წერდნენ მასალის შიდა გადაზიდვის ფორმით ტრანსპორტირებას, რეალურად კი ახორციელებდნენ ხე-მასალის კლიენტებზე რეალიზაციას.

გარდა ამისა, ბრალდებულები ამზადებდნენ ყალბ სასაქონლო ზედნადებს, რითაც ბუღალტრულად ყალბად აჩვენებდნენ, რომ თითქოს გაყიდული მასალის რეალიზაცია არ მომხდარა.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს გორის სატყეო უბნის ტყის მცველი, მიხეილ ყორანაშვილი, რომელმაც მის დაქვემდებარებულ ტყეკაფის ტერიტორიაზე უკანონოდ ხე-მასალის მოჭრის სანაცვლოდ, პერიოდულად ქრთამის სახით სხვადასხვა ოდენობის თანხას იღებდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...



## სასიკვდილო ვირუსი ებოლა ევროპაშიც გამოჩნდა

ევროპაში ებოლით დაავადების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. ესპანეთში ვირუსი ერთ-ერთ ექთანს დაუდასტურდა, რომელიც აფრიკიდან გადაყვანილ მისიონერს უვლიდა.

საავადმყოფოში, სადაც ექთანი მუშაობდა, ინფექციური დაცვის სისტემა ამოქმედდა. მომხდართან დაკავშირებით, განცხადება გააკეთა ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა. მისი თქმით, ყველაფერს აკეთებენ, რომ დაავადების გავრცელება თავიდან იყოს არიდებული.

სასიკვდილო ვირუსი თავდაპირველად აფრიკაში გავრცელდა და მას უკვე 3 ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. (ნიუპოსტი)

## მდინარე ლიახვში ქალბატონი დაიხრჩო



როგორც თვითმხილველები ყვებიან, ტრაგედია მეუღლეთა ოჯახური კონფლიქტის შედეგად დატრიალდა, რომლებიც ცხინვალის რეგიონში სომხეთიდან იყვნენ ჩასულნი.

„ქალი გადახტა მდინარეში, მის კვალდაკვალ წყალში გადახტა მამაკაცი, რომელიც მეუღლის გადარჩენას ცდილობდა. შედეგად ქალი წყალმა წაიღო. თვითმხილველებმა მხოლოდ მამაკაცის გადარჩენა მოახერხეს“, – იუწყება ოსური მედია.

მათივე ინფორმაციით, მამაკაცი ამჟამად ჰოსპიტალიზებულია და მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მაშველები ქალის ცხედარს ამ დრომდე ეძებენ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „ნაციონალების“ „ზონდერები“ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებულ მძლეოსნობის მწვრთნელთა სიაშიც აღმოაჩინეს

საქართველოს მძლეოსნობის განვითარების კავშირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მძლეოსნობის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, თამარ შანიძემ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებული მწვრთნელების სიაში „ზონდერები“ ამოიცნო. შეგახსენებთ, 6 ოქტომბრის ნომერში ვწერდით, რომ თბილისის მერიაში წლების განმავლობაში გიგი უგულავას გაფორმებული ჰყავდა 420 მწვრთნელი სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით, თითოეულს დედაქალაქის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად უხდიდა 500 ლარს. ამათგან ნაწილი მართლა მწვრთნელია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც სპორტთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ.

**როგორც თამარ შანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, სია, რომელიც „კვირის ქრონიკაში“ გამოვაქვეყნეთ, ჯერ კიდევ შარშან მიაწოდა მთავარ პროკურატურას, მაგრამ დღემდე ხმას არავინ იღებდა.**

**„ალია“ ხელახლა გთავაზობთ ამ სიას, შემდეგ კი ქალბატონი თამარი თავად განმარტავს, რასთან გვაქვს საქმე:**


თამარ შანიძე

1. მელაძე მარინა;
2. გრიგალაშვილი ნელი;
3. გელაშვილი ლელა;
4. ბედუკაძე ანდრო;
5. ბადრიძე ბადრი;
6. მარკოზაშვილი გიორგი;
7. გუგეშაშვილი ლევან;
8. ასათიანი ბადრი;
9. მატიაშვილი ამბროსი;
10. დვალიშვილი ლიკა;
11. კაკიაშვილი ლიანა;
12. აბრამიძე ქეთევან;
13. ტოგონიძე იამზე;
14. ფირანიშვილი მარინა;
15. პურინა ვიქტორია;
16. ხოჭოლავა ვლადიმერ;
17. ორდენიძე ტარიელ;
18. სამუკაშვილი მზევინარ;
19. თავხელიძე სოფიო;
20. ზრაჟევსკაია გალინა;
21. ანთელიძე გიორგი;
22. ბერიშვილი ვასილ;
23. მარტყოფლიშვილი ილია;
24. ტალიკიშვილი ზურაბ;
25. კეკიშვილი დავით;
26. კობიაშვილი რეზო;
27. გოზალიშვილი გიორგი;
28. ბადერტდინოვი გიორგი;
29. გოზალიშვილი ირაკლი;
30. ხარაზიშვილი გიორგი.

**„სამუკაშვილი მზევინარი — ამ ქალს მესამე თანრიგიც კი არ აქვს, მაგრამ ოლიმპიადაზე წაიყვანეს, მაღალი და ლამაზი გოგოაო, ვიღაცას მოსწონდა. ვინც ოლიმპიადაზე წასვლას იმსახურებდა, ისინი დატოვეს. რაც 2012 წლის ოლიმპიადაზე მოხდა, იყო საშინელება, ყველა „ზონდერი“ ლონდონში წაიყვანეს“**

– დიახ, ჩვენ პროკურატურაში შევიტანეთ დოკუმენტები, რომ ეს ხალხი არასწორად იღებს თანხებს დღემდე. სიებში ძალიან ბევრია რეგიონებიდან, ანუ რაიონებში მცხოვრებ ვითომმწვრთნელებს ეძლევათ 500-ლარიანი დახმარებები თბილისის ბიუჯეტიდან. მე ჯერ გეტყვით იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც არა აქვთ უფლება, იყვნენ მწვრთნელები და ვინმე ავარჯიშონ: მატიაშვილი ამბროსი, დვალიშვილი ლიკა, კაკიაშვილი ლიანა ექიმია, რა სტატუსით იღებს 500 ლარს? აბრამიძე ქეთევანი, ამას არანაირად არ აქვს უფლება, რომ იყოს მწვრთნელი და არც არის, მძლეოსნობის ფედერაციის საწყობში მუშაობს, ინვენტარს გასცემს. ტოგონიძე იამზე – ამ ქალის მეუღლე „ზონდერი“ იყო, მიტინგებს არბევდა და ამიტომ დაუნიშნეს ხელფასი. მე საზოგადოებას შევახსენებ, ჩვენ გვყავს დამსახურებული მწვრთნელი, მიშა ხუბულაშვილი, რომელმაც ევროპის არაერთი ჩემპიონი გაზარდა და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# „ჯეოსელმა“, „მაიკროსოფტთან“ ერთად, მცირე და საშუალო მეწარმეებთან შეხვედრა გამართა

## ცნობილმა ტექნოლოგიურმა ბრენდებმა ბიზნესის ეფექტური მართვის ერთობლივი მოდელი წარმოადგინეს

„ჯეოსელი“, კომპანია, რომელიც მომხმარებელს მუდმივად საინტერესო და ექსკლუზიურ სიახლეებს სთავაზობს, ამჯერად ბაზარზე „მაიკროსოფტთან“ ერთად გამოდის და კიდევ ერთ ინოვაციურ პროდუქტს ნერგავს.

სიახლე ცნობილი ტექნოლოგიური ბრენდების წარმომადგენლებმა მცირე და საშუალო მეწარმეებს პირადად გააცნეს – მსოფლიოს მოწინავე **Cloud** ტექნოლოგიები **Office 365**-ის სერვისების ჩათვლით.

საუბარია „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტის“ ერთობლივ შეთავაზებაზე, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებელ „ჯეოსელის“ კორპორაციულ აბონენტებს საშუალებას მისცემს, მარტივად და ეფექტურად მართონ თავიანთი ბიზნესი და იქონიონ კორპორაციული **IT** სერვისების ინფრასტრუქტურა ძვირადღირებული ლოკალური სერვერების გარეშე.

როგორც სიახლის ავტორები განმარტავენ, ეს არის საქართველოში პირველი პრეცედენტი ტექნოლოგიური ბრენდების ამგვარი თანამშრომლობისა და ერთობლივი პროდუქტის შემუშავებისა. თუმცა სკანდინავიასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში „თელიასონერას“ უკვე დანერგილი აქვს მსგავსი პრაქტიკა „მაიკროსოფტთან“ სხვადასხვა მომსახურების კუთხით.

ზოგადად, მსოფლიოს გიგანტი ბრენდების ასეთი სახის თანამშრომლობა ტექნოლოგიურ სამყაროში დღეისთვის უკვე საკმაოდ მიღებული ბიზნესმოდელია, რასაც საქართველოში სწორედ ამ შეთავაზების სახით ჩაეყარა საფუძველი.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, სიახლის შესახებ **Microsoft Georgia**-ს რეგიონული მენეჯერი დავით ასათიანი შემდეგ განმარტებას აკეთებს:



– **Cloud** ტექნოლოგიები – ეს არის მსოფლიოს პროდუქტიულობის მომავალი. დღეს ეს კორპორაციული სერვისები უკვე ხელმისაწვდომია საქართველოშიც და მომხმარებლებს მათ „ჯეოსელთან“ ერთად ვთავაზობთ. ბიზნესმენებს შეუძლიათ, შეამცირონ კაპიტალური ინვესტიციები ძვირადღირებულ მოწყობილობებში. ასევე, შეამცირონ ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები. ყოველივე ამას „მაიკროსოფტი“ თავის თავზე იღებს, რითაც მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ, თავიანთი დრო, ენერგია და ფული მიმართონ ბიზნესის ეფექტურობის გასაზრდელად.

**ივანე მაჭავარიანი, „ჯეოსელის“ კომერციული დირექტორი:**

– შეხვედრის მიზანია, მცირე და საშუალო მეწარმეებს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის ეფექტური მომსახურება, რომელიც გარდა იმისა, რომ ხელს შეუწყობს მათ საქმიანობას, იქნება ორმხრივად მიმზიდველი როგორც მომხმარებლის, ასევე „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტისთვის“. ეს კი, ვიმედოვნებთ, საბოლოო ჯამში, სარგებელს მოუტანს, როგორც ჩვენი კომპანიების საქმიანობას, ასევე, ზოგადად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაში ქვეყანაში.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა ლატარია, რომელზეც ხუთი პრიზი გათამაშდა.

ლატარიის გამარჯვებულებს გადაეცათ მობილური ტელეფონი **HTC One 8 Mini** „ჯეოსელისგან“ და **Microsoft Office 365**-ის ერთწლიანი ლიცენზია.

– გვინდა თქვენ იყოთ პირველები, ვინც გამოცდიან „ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტის“ ახალ შეთავაზებას, ამიტომაც ჩვენს გათამაშებაში მოგეცემათ შანსი, გახდეთ სწორედ თქვენი ბიზნესისთვის მეტად გამოსადეგი შეთავაზების მომხმარებელი: ეს არის მობილური ტელეფონი ან ტაბლეტი „ჯეოსელისგან“ და „მაიკროსოფტის“ ერთწლიანი უფასო **Office 365**-ის ლიცენზია ერთ მომხმარებელზე. მოგებულებს შეგეძლებათ, თავად გამოსცადოთ და დარწმუნდეთ ჩვენი ერთობლივი შეთავაზების უნიკალურობაში, – მიმართა მიწვეულ სტუმრებს ივანე მაჭავარიანმა.

„ჯეოსელისა“ და „მაიკროსოფტის“ ერთობლივი შეთავაზება გულისხმობს, ერთი მხრივ, „ჯეოსელის“ სერვისებს: მოწყობილობებს მობილური ინტერნეტის და სასაუბრო დროის პაკეტებთან ერთად და მეორე მხრივ, ახალ **Office 365**-ს, რომელიც უნიკალურ შესაძლებლობას გაძლევთ, გაზარდოთ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმადობა და ამავე დროს, აწარმოოთ ერთობლივი სამუშაოები ახლა უკვე კორპორაციულ დონეზე, ისარგებლოთ **Office**-ის ყველა ფუნქციით: შეამოწმოთ კორპორაციული ელ-ფოსტა, მართოთ კალენდარი, განაახლოთ დოკუმენტები და გამართოთ ვიდეოკონფერენციები ნებისმიერი წერტილიდან. შესაბამის პროგრამებზე წვდომა შესაძლებელია როგორც პერსონალური კომპიუტერით, ასევე სმარტფონებითა და ტაბლეტებით.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მეხუთე გვერდიდან*

რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი იყო 10 წლის განმავლობაში, დღეს ქუჩაშია მშიერი. ფირანიშვილი მარინა – საერთოდ არ ვარ აზრზე, ვინაა. სამუკაშვილი მზევინარი – ამ ქალს მესამე თანრიგიც კი არ აქვს, მაგრამ ოლიმპიადაზე წაიყვანეს, მაღალი და ლამაზი გოგოაო, ვიღაცას მოსწონდა. ვინც ოლიმპიადაზე წასვლას იმსახურებდა, ისინი დატოვეს. რაც 2012 წლის ოლიმპიადაზე მოხდა, იყო საშინელება, ყველა „ზონდერი“ ლონდონში წაიყვანეს. თავის დროზე სამუკაშვილით დავინტერესდი და ვიკითხე, რას აკეთებს-მეთქი? სპორტსმენებს გაწელვაში ავარჯიშებსო. ჯერ რა ტერმინია „გაწელვა“ და ამ დროს არ მუშაობდა, „ნაციონალია“ და ხელფასს მუქთად აძლევენ. თავხელიძე სოფიო – არ ვიცი, ვინ არის, ამ გვარისა და სახელის ადამიანი საერთოდ არ გამიგია. ანთელიძე გიორგი – ამას საერთოდ არ აქვს უფლება, რომ იყოს მწვრთნელი, არც ფიზკულტურის ინსტიტუტი დაუმთავრებია და არც შესაბამისი განათლება მიუღია, სამედიცინოზე სწავლობს და პურის ფულს აძლევენ. ბერიშვილი ვასილი – არავის არ ავარჯიშებს, როგორც მწვრთნელი, ტყუილად იღებს ხელფასს.

– როგორც ჩანს, აქ უკვე მწვრთნელებზე არ არის ლაპარაკი, „ნაციონალებს“ ვინც უნდოდათ, ისინი შეყარეს სიებში.

– რა თქმა უნდა, თქვენ არ გაგიკვირდეთ, თუკი სიებში ნაყინის გამყიდველებიც აღმოჩნდებიან. მაგალითად, ბადერტდინოვი გიორგი ვინ არის, საერთოდ არ გამიგია. სანამ შემდეგ ე.წ. მწვრთნელებზე გადავალ, ორიოდე სიტყვით უნდა ვთქვა სპორტის დღევანდელ მინისტრზე, ლევან ყიფიანზე – მე ვარ ბონდო შანიძის შვილი, მამაჩემის სახელობის პრიზი თამაშდებოდა წლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა და ჩემპიონი იყო, რატომ არ დამნიშნა „ქართულმა ოცნებამ“ მინისტრად, მე რა დავაშავე? სხვათა შორის, ყიფიანისგან განსხვავებით, ძალიან კარგად ვერკვევი სპორტში.

– თან საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ყოფილხართ და ნამდვილად გეკუთვნით.

– კი, რაც მთავარია, „მიშისტი“ არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით, იქით ვებრძოდი და როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, მე გამომიშვეს. აი, ამისთვის ვიბრძოლე. უკვე 2 წელია, ეს სია, რომელიც თქვენ გამოაქვეყნეთ, დევს პროკურატურაში, რეაგირება არის ნული.

– თქვენც ყოფილიყავით „მიშისტი“, ახლა ხომ ისევ ნაკრების მწვრთნელი იქნებოდით?



**„ორიოდე სიტყვით უნდა ვთქვა სპორტის დღევანდელ მინისტრზე, ლევან ყიფიანზე — მე ვარ ბონდო შანიძის შვილი, მამაჩემის სახელობის პრიზი თამაშდებოდა წლების განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდიოდა და ჩემპიონი იყო, რატომ არ დამნიშნა „ქართულმა ოცნებამ“ მინისტრად, მე რა დავაშავე? სხვათა შორის, ყიფიანისგან განსხვავებით, ძალიან კარგად ვერკვევი სპორტში“**

– მე არ შემიძლია, ადამიანებს ვუყურო თვალებში და ვატყუო. სხვათა შორის, ადრე შემომითვალეს, გაჩერდი და დაგტოვებთო. სპორტის მინისტრს ლოყებზე უკვე ეტყობა, რომ კარგადაა. ახლა მე თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სიებში აღმოვაჩინე ერთი კარგი რაღაცა: წყალბურთის სახეობაში ხელფასს იღებს ნებიერიძე ნანა. თუ გახსოვთ, ეს ქალბატონი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რომ გადიოდა „იმედზე“, იქ მონაწილეობდა. თვითონ წყალში მხტომელი კი არის, მაგრამ ერთი ბავშვიც არ გაუზრდია ამ სახეობაში. მე ნანასთან პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ის არც მწვრთნელია და არც პედაგოგი, უბრალოდ გაფორმებული ჰყავთ.

– მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ, თქვენ ხომ ხართ დამსახურებული მწვრთნელი, ხომ იყავით ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თქვენთან ვინმე მოსულა და უთქვამს, მერიამ ხელფასი უნდა დაგინიშნოთო?

– არა, მაგას მე ვინ მეტყოდა, როცა „ნაციონალი“ არ ვიყავი? მე ვიყავი მთავარი მწვრთნელი 2012 წლამდე და ხელფასი მქონდა 344 ლარი. ახლა მაინტერესებს, ეს ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ არიან მწვრთნელები, რატომ იღებენ ყოველთვიურად 500 ლარს? რაკი მე „მიშისტი“ არ ვიყავი, 344 ლარი ამიტომ მეკუთვნოდა?

– ქალბატონო თამარ, ხშირად ამბობენ, რომ მოჭიდავეებში ბევრი „ზონდერი“ იყო და ამაზე „კვირის ქრონიკაშიც“ ვწერდით, ამ მხრივ მძლეოსნებში რა ხდება?

– კი, ასეთები მძლეოსნებშიც არიან. მაგალითად, მარტყოფლიშვილი ილია. მატიაშვილი ამბროსი – ეს სამტრედიაში ცხოვრობდა და ჩამოდიოდა სპეციალურად, როცა სჭირდებოდათ. ორივე ეს ადამიანი აქციამიტინგებს არბევდა. ამათ შესახებ ზუსტად ვიცი და ვასახელებ კიდეც. ჩვენ 30 სექტემბერს შევიტანეთ განცხადება, რომ შევხვდეთ პრემიერ-მინისტრს და ჩვენს გასაჭირზე ველაპარაკოთ. თუმცა მთავრობის კანცელარიაში ერთი ქალი ზის, რომელმაც გამომწვევად და ქედმაღლურად გამოგვიცხადა: იცით, რა? ირაკლი ღარიბაშვილი მოქალაქეებს არ იღებს, ხალხს არ ხვდება, თქვენი პრობლემები ჩამოგეწერათ, იქნებ გეცადათ და ასე გადაგეცათო? ჩვენი პრობლემები რომ ჩამოვწეროთ, ერთი ტომი გამოვა და მერე გადასაცემად პრემიერ-მინისტრს სად ვდიოთ? მე ვუთხარი, ადრე ხალხი საჭირო იყო, ახლა აღარავის ვჭირდებით-მეთქი? არა, მაშინ ჩავიბარებთო. თუკი სხვები ხვდებიან ირაკლი ღარიბაშვილს, ჩვენ რა, კეთროვნები ვართ? როგორც ვიცი, მინისტრებიც და პარლამენტარებიც ჩვენ დავიქირავეთ. ვნახოთ, თუ ბატონმა ირაკლიმ მიგვიღო, ყველაფერს პირადად გავაცნობთ.

„ალია“ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურს იმის გასარკვევად დაუკავშირდა, აქვს თუ არა ბატონ ღარიბაშვილს მიღების დღეები ან სულაც, საათები? მივიღეთ პასუხი, რომ მას მიღების არც დღეები აქვს და არც საათები.

მთავარი პროკურატურიდან გვაინტერესებდა, რა ბედი ეწია მძლეოსნების მიერ შეტანილ მასალებს. როგორც პრესცენტრის ხელმძღვანელმა, ნათია სუხიაშვილმა „ალიას“ განუცხადა: „დავინტერესდები, ყველაფერს გავარკვევ და პასუხს მოგვიანებით გაცნობებთო“.

**„წყალბურთის სახეობაში ხელფასს ღებულობს ნებიერიძე ნანა. თუ გახსოვთ, ეს ქალბატონი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ რომ გადიოდა „იმედზე“, იქ მონაწილეობდა. თვითონ წყალში მხტომელი კი არის, მაგრამ ერთი ბავშვიც არ გაუზრდია ამ სახეობაში. მე ნანასთან პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ის არც მწვრთნელია და არც პედაგოგი, უბრალოდ გაფორმებული ჰყავთ“**

**„ჩვენ 30 სექტემბერს შევიტანეთ განცხადება, რომ შევხვდეთ პრემიერ-მინისტრს და ჩვენს გასაჭირზე ველაპარაკოთ. თუმცა მთავრობის კანცელარიაში ერთი ქალი ზის, რომელმაც გამომწვევად და ქედმაღლურად გამოგვიცხადა: იცით, რა? ირაკლი ღარიბაშვილი მოქალაქეებს არ იღებს, ხალხს არ ხვდება, თქვენი პრობლემები ჩამოგეწერათ, იქნებ გეცადათ და ასე გადაგეცათო? ჩვენი პრობლემები რომ ჩამოვწეროთ, ერთი ტომი გამოვა და მერე გადასაცემად პრემიერ-მინისტრს სად ვდიოთ? მე ვუთხარი, ადრე ხალხი საჭირო იყო, ახლა აღარავის ვჭირდებით-მეთქი?“**

**P.S. თუკი რესპონდენტის მიერ დასახელებული პირებიდან ვინმე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ისურვებს, შეუძლია დაგვიკავშირდეს.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახი კალაძე ჯანყარაშვილის დანიშვნას აფასებს



„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის პოსტზე ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნა შეაფასა ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ. მისი განმარტებით, ჯანყარაშვილის კანდიდატურას პოლიტსაბჭომ მხარი ერთხმად დაუჭირა. როგორც კალაძემ აღნიშნა, პარტიისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პიროვნება, რომელიც აქტიურად იქნება დაკავებული პარტიული საქმიანობით. მისივე განმარტებით, არც პარტიის თავმჯდომარეს და არც მას, როგორც გენერალურ მდივანს, საქმიანობიდან გამომდინარე დრო არ ყოფნით პარტიული მუშაობისთვის.

„ძალიან მნიშვნელოვანია პარტიული მშენებლობის საკითხი. 2012 წლიდან საარჩევნო პროცესში ვართ. მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პარტიის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია იყოს პიროვნება, რომელიც დღე და ღამე აქტიურად იმუშავებს პარტიული საქმიანობისთვის“, – განაცხადა კალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ზვიად ჯანყარაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის თანამდებობა საკუთარი ნებით, მხოლოდ იმის გამო დატოვა, რომ ის პრემიერის ახლო ნათესავია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ მთავრობის კონტროლს დაექვემდებარება

მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო, „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, მთავრობის კონტროლქვეშ გადადის. აღნიშნულ ორგანოს წელიწადში ორჯერ მთავრობის მიმართ ანგარიშის წარდგენა ევალება.

სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას ამჟამად სამეთვალყურეო საბჭო უწევს კოორდინაციას და მასზე ზედამხედველობას ახორციელებს, რომელიც სააგენტოს დირექტორს ნიშნავს. ეს უფლებამოსილება ახლა მთავრობის კომპეტენციაში, ხოლო დირექტორის მოხსნა-დანიშვის უფლება პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის.

ამ ყველაფერს „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა. საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს კომპეტენციას საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის ფუნქცია ემატება. სააგენტო უფლებამოსილი იქნება საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მასალები გამოითხოვოს და მიღებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე, მთავრობას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები წარუდგინოს.

ამასთანვე, სააგენტოს ინფორმირების უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ადგენს საინვესტიციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგების შესახებ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ყოველთვიური ანგარიშგების ვალდებულებას. ასევე სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა განისაზღვრა.

ახალი კანონის მიღება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გავლენას ახდენს, სააგენტოსთვის მონიტორინგის და კვლევის ფუნქციების დამატების გამო. კერძოდ, როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, სააგენტოს შტატით გათვალისწინებული თანამშრომელთა რაოდენობა ამ ეტაპზე 29 ერთეულს შეადგენს, ახალი ფუნქციების დამატების გამო, კადრები 38 საშტატო ერთეულამდე გაიზრდება. 2015 წლისთვის სააგენტოს წლიური თანამდებობრივი სარგო 571 800 ლარს შეადგენს, ხოლო დაგეგმილი ცვლილებებით, თანამდებობრივი სარგო 156 000 ლარით გაიზრდება და 727 800 ლარს გაუტოლდება. გარდა ამისა, მიმდინარე წელს კვლევებისათვის დაგეგმილი ხარჯი 730 000 ლარს შეადგენს, რაც 2015 წლისათვის 1 000 000 ლარს გაუტოლდება, ანუ 270 000 ლარით გაიზრდება. (ნიუპოსტი)

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სიტყვები „არასოდეს თქვა, არასოდეს“, აქტუალობას არც დღეს კარგავს: საზოგადოება უკვე დიდი ხანია, თვალყურს ადევნებს საყდრისის გარშემო განვითარებულ მოვლენებს და, როცა გვეგონა, რომ საკითხს შიგნიდანაც და გარედანაც უკვე კარგად ვიცნობდით, 6 ოქტომბერს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, გივი თარგამაძის ხელმძღვანელობით, საყდრისთან დაკავშირებით პრესკონფერენცია ჩაატარა, სადაც აღმოჩნდა, რომ ნაციონალების პოზიცია ერთიერთზე ემთხვევა ძეგლის დამცველთა პოზიციას და რა ხდება? ეს ნაციონალების ერთგვარი ფანდია, თუ ეს ორი ძალა ერთად მოიაზრება? სანამ ამას გავარკვევდეთ, ჯერ გივი თარგამაძის მიერ თავად პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას გაგაცნობთ:

„მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია ისტორიული ძეგლის, საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი მაღაროსა და შპს „**RMG Gold**“-ის მიერ მიმდინარე სამუშაოების გარშემო. თუმცა არის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებზეც ყურადღება ჯერ არ გამახვილებულა: თუ რა კანონდარღვევებს ჰქონდა ადგილი ამ პროცესში და როგორ მოექცა კომპანია „**RMG Gold**“ და ტერიტორია 1994 წლის 7 აპრილიდან **Ltd Trans Georgian Resources**-ზე 20 წლის ვადით გაცემული წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის ნაწილი იყო. 2005 წელს ეს კომპანია მადნეულთან ერთად გაიყიდა და კვარციტს შეერწყა. შესაბამისად,



საკითხებში, ს. ცაბაძეა და სახელმწიფომ უფასოდ გასცა ლიცენზია ტერიტორიაზე, რომელიც 1 მილიარდ ლარ მოგებას მოუტანს მის მფლობელს“.....

უნდა ითქვას, რომ იმავე 6 ოქტომბერს თარგამაძის ბრალდებებზე „**RMG Gold**“-ი ავრცელებს შესაბამის განცხადებას:

„ბატონი გივის განცხადებით, „**RMG Gold**“-ისთვის 2014 წლის აპრილში, პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე, ლიცენზიის ვადის გაგრძელება არის კორუფციული გარიგება, რის შედეგადაც სახელმწიფომ დაკარგა შემოსავალი, რის დამადასტურებლადაც ასახელებს 2011 და 2012 წლებში სალიცენზიო გადასახადის სახით, „**RMG Gold**“ მიერ 204 მილიონის გადახდას ბიუჯეტის სასარგებლოდ. განცხადებაში მოცემული ფაქტები შეესაბამება სიმართლეს, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ ლოგიკური დასკვნა არ არის ლოგიკური და სიცრუეა. 2014 წლის აპრილში, მას შემდეგ რაც 2013 წელს, სპილენძის მოპოვებაზე და, რომლის მოქმედება დაიწყება 2015 წლის 1-ლი იანვარს. ეს არ იყო ეკონომიკური საქმიანობის შედეგად გადახდილი რეგულარული გადასახადი, არამედ წარმოადგენდა ერთჯერად გადასახადს ბიუჯეტში, რომლის შედარებაც ჩვენს შემთხვევასთან არის სრულიად შეუსაბამო და დილეტანტური. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გვსურს განვაცხადოთ, რომ გივი თარგამაძის ბრალდება არის სიცრუე და, ჩვენი ვარაუდით, მხოლოდ პოლიტიკური მიზნებითა და საყდრისის პრობლემის კონსტრუქციული საკითხის დისკრედიტაციის მცდელობით არის ნაკარნახევი. შესაბამისად, ამ მიზნით კომპანიის საქმიანობაში კორუფციული კვალის ძიება სრულიად უადგილოა“.

მთელ ამ ამბავში კიდევ ერთი საინტერესო ამბავია: ცნობილია, რომ თითქმის ერთი წელია, საყდრისში ოქროს მწარმოებელი კომპანიის წინააღმდეგ აქციებს აწყობენ „საყდრისის მცველები“. გივი თარგამაძის პრესკონფერენციის შემდეგ ჩნდება კითხვები, რითაც მივმართეთ ამ ჯგუფის წევრებს და, კერძოდ:

ა) რატომ მოხდა, რომ დღეს თარგამაძე და ეს ჯგუფი მსგავსი ტექსტით საუბრობს?

ბ) ამ ჯგუფის წევრები განსაკუთრებით აქტიურობდნენ ადგისაერთოდ არ ვიყავი კომიტეტის წევრი და ნეიტრალური ვიყავი. ანუ, ეგ თემა მე არ საერთოდ მეხება.

ნინო მიქიაშვილი: არ ვიცი ამ ბრიფინგის შესახებ, გეფიცები სინდისს. საერთოდ, საყდრისის მცველები ძალიან ბევრნი არიან და ყველა თავისებურად ცდილობს საყდრისის დაცვას და სირცხვილია, იმის მტკიცება დავიწყოთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ რაიმე საერთო გვაქვს, ღმერთმა დაგვიფაროს. საერთოდ, ამ საქმესთან რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი და ღარიბაშვილი? საყდრისის ნამდვილი ნგრევა სწორედ ნაციონალებმა დაიწყეს და უბრალოდ, არ დასცალდათ და როგორ შეიძლება, დღეს მათ რაიმეს გადარჩენაზე დაიწყონ საუბარი და განცხადებები აკეთონ? ეგენი არიან უნამუსოები და უფლება არ აქვთ, საყდრისზე ილაპარაკონ.

ირაკლი მამალაძე: სულ არ მაინტერესებს, რას ამბობს გივი თარგამაძე. თარგამაძეს კი არა, „პატრიოტთა ალიანსს“ გავემიჯნეთ და თარგამაძე ვინ არის? თარგამაძესა და „ქართულ ოცნებას“ ვერ გაუყვიათ ოქრო, ჩვენ კი ვიცავთ კულტურულ მემკვიდრეობას და უნდა გითხრათ, რომ ჩვენ არ შევალთ

# „რა საერთო აქვთ გივი თარგამაძესა და საყდრისის მცველებს?“

მისი საქმიანობა ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული კლანის ინტერესთა სფეროში. 2012 წელს გაცემული ლიცენზია არ შეიცავდა სამუშაოების უფლებას საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს (ძეგლს სტატუსი მიენიჭა 2006 წლის 30 მარტს). სტატუსის გაუქმების შემდეგ ყოფილი ძეგლის ტერიტორიაზე მუშაობის ჩატარების უფლება არავის ჰქონდა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სრულიად უსასყიდლოდ გაუგრძელა შპს „**RMG Gold**“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1-ელ იანვრამდე და ლიცენზია ისევ მოიცავდა სამუშაოების უფლებას საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიაზე, რომელიც გამოცხადებული იყო ისტორიულ ძეგლად და ამ უკანონო გარიგებების შედეგად, სახელმწიფომ მილიონობით ზარალი ნახა, მას შემდეგ, რაც უფასოდ გასცა ლიცენზია ტერიტორიაზე, რომელიც 1 მილიარდ ლარ მოგებას მოუტანს მის მფლობელს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ მხოლოდ 2011 წლის შემოდგომიდან 2012 წლის გაზაფხულამდე, კომპანიებმა დანარჩენ ზემოაღნიშნულ ლიცენზიებში, საერთო ჯამში, 204 მილიონი ლარი გადაიხადეს. ლოგიკურია, გავიხსენოთ 90-იანი წლები, როდესაც კორუფციული გარიგებების შედეგად, თანხები ბიუჯეტის ნაცვლად სახელმწიფო ბიუროკრატიის, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ მიერ ჩამოყალიბებული ქვეყნის მართვის ოლიგარქიულ-კორუფციული სქემის წარმომადგენელი არაუფლებამოსილი პირების ჯიბეში მიდის. ანუ, ადგილი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილისა და მისი მარიონეტების, ირაკლი ღარიბაშვილისა და უჩა მამაცაშვილის ინტერესებიდან გამომდინარე... უძველესი საბადოსთვის მოეხსნათ ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი. თავად საყდრისის ლიცენზია დღეს „**RMG Gold**“-ის საკუთრებაა. 2006 წელს, საბადოს ისტორიულ ძეგლად გამოცხადების შემდეგ, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამუშაოები შეწყდა. 2012 წლის 18 იანვარის მთავრობის განკარგულების საფუძველზე გამოცხადა სასარგებლო შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის აუქციონის სალიცენზიო პირობები. აუქციონის საწყის ფასად დასახელდა 110 000 000 ლარი, ლიცენზიის მოქმედების ვადად 27 წელი, ხოლო ლიცენზიის ძალაში შესვლის თარიღი 2014 წლის 15 აპრილით განისაზღვრა. აუქციონი 2012 წლის თებერვალში გაიმართა, გაიმარჯვა შპს „მაინინგ ინვესთმენთსმა“ და მიიღო წიაღით სარგებლობაზე ლიცენზიები და არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება. სტატუსის გაუქმების შემდეგ შეიქმნა მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც ყოფილი ძეგლის ტერიტორიაზე მუშაობის ჩატარების უფლება არავის ჰქონდა. ამ შემთხვევაში მთავრობამ სრულიად უსასყიდლოდ გაუგრძელა შპს „**RMG Gold**“-ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 2015 წლის 1-ელ იანვრამდე და ლიცენზია გაუგრძელდა 2006 წლამდე პერიოდის პირობებით. 2014 წლის 7 თებერვალს, კომპანია **Mining Investment Gold**-ის გენერალურ დირექტორმა სოლომონ ცაბაძემ, აცნობა შპს „**RMG Gold**“-ის გენდირექტორ სერგეი ეგანოვს, რომ **Mining Investment Gold**-ი თანახმა იყო მისი სალიცენზიო ვადა ერთი წლით შეჩერებულიყო და მის ადგილას, **Rich Metals Gold**-ის ლიცენზია გაგრძელებულიყო. ანუ შეიქმნა საოცარი სიტუაცია, როდესაც კომპანია, რომელმაც ლიცენზიისთვის გადაიხადა 100 მილიონზე მეტი ლარი ერთი წლით, თანახმაა, რომ არ აწარმოოს სამუშაოები და არ მიიღოს კომერციული მოგება. ყველაფერი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ შპს „მაინინგ ინვესთმენთსის“ გენერალური დირექტორი **RMG** ჯგუფის მრჩეველი გარემოსდაცვით



კულტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე საყდრის-ყაჩაღიანს მოეხსნა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და კომპანიას შეეძლო ამ უბანზე სამუშაოების წარმოება, კომპანიის მიმართვის საფუძველზე, მთავრობამ გააგრძელა 1994 წელს გაცემული ოცწლიანი ლიცენზიის მოქმედება 8 თვით, იმის გათვალისწინებით, რომ მანამდე 8 წელი (2006-2013 წლები) არ შეეძლო ესარგებლა სალიცენზიო ტერიტორიაზე არსებული საბადოთი. თუმცა, სასამართლო პროცესების გამო, საყდრისი-ყაჩაღიანის ათვისება არ დაწყებულა და შესაბამისად, „**RMG Gold**“-ს არანაირი შემოსავალი არ მიუღია, რადგან ეკონომიკური საქმიანობა არ უწარმოებია. რაც შეეხება გადასახადებს, განცხადებაში მითითებული 204 მილიონი ლარი წარმოადგენს სალიცენზიო გადასახადს, რომლითაც კომპანიამ შეიძინა ახალი, 27-იანი ლიცენზია ოქროსა და ლობრივი არჩევნების წინ და მაშინ კულუარულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ ამ კამპანიას კობა ნაყოფია ედგა უკან. რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ინფორმაცია?

ნინო ბურჭულაძე: მე ვიცავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და, თუ ნაციონალები თავისი პოლიტიკური ქულების დაწერისთვის რაღაც ბრიფინგებს მართავენ, რატომ უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენ ერთად ვართ? ნამდვილად არ ვარ არც თარგამაძესთან და არც რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებასთან შეკრული. ჩემი აზრით, საყდრისი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ამიტომ ვიცავ მას, ხოლო პოლიტიკური პარტიები და კომერციული ბიზნესინტერესების მქონე ადამიანები რას ფიქრობენ და რას აკეთებენ, არ მაინტერესებს. თუ ვინმე დამარწმუნებს, რომ საყდრისი ძეგლი არაა, მაშინ ხმას საერთოდ არ ამოვიღებ. ადგილობრივი არჩევნების დროს არავისთან პოლიტიკურ დაპირისპირებაში, მაგისი იმედი არავის ჰქონდეს. ვაცხადებ, რომ საყდრისის კომიტეტი არის საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაცია და ბოლომდე დარჩება ასე. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენს აქციებს კობა ნაყოფია აფინანსებდა, ესაა ყურით მოთრეული ინფორმაცია და სრული აბსურდი, ჩვენ არაერთი განცხადება გაგვიკეთებია იგივე ნაყოფიასთან დაკავშირებითაც. ისე, თუ არსებობს ასეთი რამე, დადონ დოკუმენტები. საყდრისთან დაკავშირებით პუტინმაც რომ გააკეთოს განცხადებები, აქვს უფლება, რადგანაც ეს არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა და რას ნიშნავს, რომ ჩვენი და რუსეთის აზრი ემთხვევა ერთმანეთს? ვისაც რა უნდა, ის განცხადება გააკეთოს, პოლემიკაში არავისთან შევდივართ, საყდრისის კომიტეტი კი დაიცავს კულტურულ მემკვიდრეობას.

# ალეკო ელისაშვილი: „ესაა მარგველაშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ნაწილი და უნდათ, რომ ერთადერთი ქმედითი ბერკეტი, რაც აქვს პრეზიდენტს, შეწყალება, წაართვან და გადასცენ პრემიერ-მინისტრს“



**„ალიას“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე:**

– ზუსტად ერთი თვის წინ დაიწყო ქალთა მე-5 საპყრობილეში მასობრივი შიმშილობა, მიზეზი კი იყო პარტიის მაღალი ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა. პრეზიდენტი ამ საქმეებთან დაკავშირებით ბლოკავს კომისიას და საკითხის გადაწყვეტა, რეალურად, არ ხდება.

**— რა საქმეებია, შეგიძლიათ, კონკრეტული მაგალითები დაასახელოთ?**

– ესაა, ე.წ. კოკაინის გახმაურებული საქმე, ჯგუფურად რომ დაიჭირეს ხალხი. ამასთან დაკავშირებით დაიწერა დასკვნა, მაგრამ მარგველაშვილმა ეს საქმე ჩააგდო. ამასთან დაკავშირებით ანასტასია ზაუტაშვილმა პროტესტის ნიშნად შიმშილი დაიწყო. ამ ე.წ. კოკაინის საქმესთან დაკავშირებით ასეთი რამ მოხდა: წყალტუბოში ჩატარდა ოპერაცია და საქმიდან 1 700 000 ევრო უგზო-უკვლოდ დაიკარგა, თვალით არავის უნახავს ამოღებული კოკაინი. ამასთან დაკავშირებით სააკაშვილი გამოვიდა და განაცხადა, ამ ფულით ბავშვებს წიგნებსა და კომპიუტერებს ვუყიდითო, მაგრამ გადავამოწმეთ და დავადგინეთ, რომ ეს ფული ბიუჯეტში წასულა და, დიდი ალბათობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მერაბიშვილმა და სააკაშვილმა გაინაწილეს და რაში აწყობს სააკაშვილს, რომ ეს საქმე ახლა წამოტივტივდეს? კიდევ მოვიყვან მაგალითს: თუ გახსოვთ ე.წ. კოჭოიას საქმე, ტერორისტობას რომ აბრალებდნენ პიროვნებას? ესეც ანალოგიურად ისეთივე შეთითხნილი საქმეა, როგორიც ჯაშუშების საქმე იყო, ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველსაც ვესაუბრე და დამეთანხმა, რომ გადასახედია ეს საქმეც, არადა ამის კვალიც მიდის პირდაპირ მიხეილ სააკაშვილამდე. ამათ გარდა, არიან საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანებიც, რომლებიც ასევე სააკაშვილის რეჟიმმა გამოამწყვდია ციხეში და მათი საქმეების გადახედვა რატომ არ ხდება კომისიის მიერ? ვიღაცას აწყობს, რომ ციხეებში გამოწვეული იქნას უკმაყოფილება პატიმრების მხრიდან და შემდეგ, როგორც ციხემ დაამთავრა სააკაშვილი, ისევე დაამთავროს ციხემ ეს ხელისუფლებაც. ჩემი ინფორმაციით, შეწყალების კომისიაში მყოფი საკმაოდ ავტორიტეტული ადამიანები აპირებენ შეწყალების კომისიის დატოვებას, რადგანაც აცხადებენ, ასე მუშაობას აზრი არ აქვსო: ხან ერთი წევრი არ არის, ხან ორი წევრი და რეალური გადაწყვეტილებები არ მიიღებაო.

**— დაგვისახელებთ იმ წევრებს, ვისაც კომისიის დატოვება სურთ?**

– მათ ვერ დავასახელებ იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს პირად საუბარში მითხრეს და გათქმასავით გამომივა. ისე, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ალექსანდრე ელისაშვილი თავის დროზე ამ კომისიიდან წავიდა.

**— კი, მაგრამ ალექსანდრე ხომ იმიტომ წამოვიდა, რომ საკრებულოში იყრიდა კენჭს?**

– დეპუტატობა არ ართმევდა ელისაშვილს უფლებას, რომ მანდ თავმჯდომარედ დარჩენილიყო, სახალხო დამცველიცაა ამ კომისიაში, ბელიო, მერე „რუსთავი 2“ ამას შეფუთავს და წამოვა უკმაყოფილების ტალღა. მარგველაშვილის დელეგირებულია ქორიძე, რომელიც, მაინტერესებს, ყველგან რატომაა? ეს ადამიანი იყო ტელევიზიის ბორდში, სოროსის ფონდში გრანტების გამანაწილებელი, პრეზიდენტის სათათბირო საბჭოში, შეწყალების კომისიაში, ასევე მედიაექსპერტია და, თუ ყველგანაა, მაშინ დანარჩენი საქმეებიც ჩავაბაროთ, არა? რა დამსახურებისთვისაა ყველგან, ამიხსნას ვინმემ? თუმცა, ვიცი: ქორიძე საკმაოდ თბილად გრძნობდა თავს სააკაშვილის კარზე და დღესაც მარგველაშვილი ცდილობს, გარშემო შემოიკრიბოს არასამთავრობოები, რომ ბოლოს, როცა სიტუაცია იქნება, ხელისუფლებას დაარტყან. ვაცხადებ, რომ ეს კომისია დღეს უფუნქციოა, ამიტომ უნდა მოხდეს ამ კომისიის რეორგანიზაცია და ის უნდა დაექვემდებაროს საქართველოს მთავრობას.

შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებები. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა შეიწყალა თავისი ახლობელი, რომელსაც საკმაოდ მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ამასთან დაკავშირებით ციხეში შესული იყო ბესელია, სახალხო დამცველი და ესაუბრნენ პატიმრებს. ეს ახლობელი კი იყო პრეზიდენტის ცოლის ნახევარძმა და კომისია იმავდროულად არ იწყალებდა იმ ადამიანებს, რომლებიც გარკვეულწილად ამას იმსახურებდნენ. მათთან დაკავშირებით იდო პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნები და არაერთი იყო რეკომენდაცია. ამის შემდეგ პატიმრებთან მივიდა ზვიად ქორიძე და დადო პირობა, რომ ყველაფერს გაითვალისწინებდა. მაგრამ ეს იყო მორიგი ტყუილი ქორიძის მხრიდან, ვინაიდან ეს კომისია, რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილის დაქვემდებარებაშია, არის უფუნქციო, არაფრის მაქნისი, რომელიც ვერაფერს წყვეტს. არსებობს ისეთი კატეგორიის საკითხები, რასაც განსაკუთრებული გარემოებების სტატუსი უნდა მიენიჭოს და ამიტომ სჭირდება კვორუმის მაღალი რაოდენობა და ამ დროს არ იკრიბება ამ კომისიის სრული შემადგენლობა, რაც შეგნებულად ხორციელდება.

**— რას ნიშნავს, შეგნებულად ხორციელდება?**

– მარგველაშვილს დავალებებს აძლევს ექსპრეზიდენტი სააკაშვილი იმ საქმეებზე, სადაც იკვეთება „ნაციონალების“ ინტერესები და ამ მაგრამ ეს არ არის მისთვის შემაფერხებელი ფაქტორი, რომ იყოს ომბუდსმენიც. მაგრამ მანდ სხვა რამე ხდება: პრეზიდენტმა არაეფექტური გახადა შეწყალების კომისია. ვინ იცის, კიდევ ვისი ახლობლებისა და ნათესავების შეწყალება ხდება. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი სააკაშვილსაც შეიწყალებს და ბაჩანა ახალაიასაც, მაგრამ ის ხალხი, ვინც სააკაშვილის რეჟიმმა გაამწარა, დღეს ციხეში რჩება, მაგათთვის ამ კომისიას არ სცალია. ვაცხადებ, რომ ქორიძე მატყუარა ადამიანია, რომელმაც განაცხადა, რომ ვიღაცებს უნდათ, ამ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვაო და რა პოლიტიკურ ჭრილში?

**— ქორიძის მატყუარობა საიდან ჩანს?**

– აგვისტოში რატომ დაიწყეს ქალებმა შიმშილობა? ქორიძემ მაშინ განაცხადა, რომ ჯერ სასჯელის 2/3 უნდა მოიხადონ, რადგანაც კანონის ძალით არ გვაქვს უფლება, ეს ხალხი შევიწყალოთო და ამ დროს კანონში პირდაპირ წერია, რომ განსაკუთრებული სტატუსი თუ მიენიჭება საქმეს, ყველა სტადიაზე შეიძლება შეწყალება, არადა სწორედ ამ სტატუსით შეიწყალეს მარგველაშვილის ახლობელი. ქორიძე რომ მივიდა პატიმრებთან, ცრემლმორეული ყველანაირად დაჰპირდა ამ ადამიანებს, თქვენს საკითხს გადავწყვიტო და მერე? ამ კომისიას რა უნდა, იცით? ვინმე რომ დაიღუპება, შემდეგ გამოვიდნენ პატრონები და განაცხადონ, ამ ხელისუფლებამ მოგვიკლა ახლობელიო, ...

**ამ ინტერვიუს შემდეგ კომენტარისთვის ვუკავშირდებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის უფროსს თინა მჟავანაძეს:**

– შეწყალების კომისიის შესახებ მე კომენტარს ვერ გავაკეთებ, უნდა დაუკავშირდეთ ზვიად ქორიძეს და ის გაგცემთ პასუხს.

**— ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ მარგველაშვილი გაიშიფრა, როგორც „ნაციონალი“ და ის აკეთებს მათ საქმესო, ქორიძე რა შუაშია აქ?**

– გავიგე, რასაც ამბობს მჟავანაძე, მაგრამ ამაზე კომენტარს ნამდვილად არ გავაკეთებ. მიმართეთ ზვიად ქორიძეს.

ვუკავშირდებით ზვიად ქორიძეს და მოკლედ ვუყვებით მჟავანაძის განცხადებებს: „აგვისტოში როცა ქალბატონები შიმშილობდნენ, ისინი შეწყალების კომისიის წინაღმდეგ კი არ შიმშილობდნენ, რადგანაც შეწყალება არის პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლება, რომელიც მან შეიძლება, გამოიყენოს, შეიძლება – არა. მაშინ შევხვდი ამ ქალბატონებს, მაგრამ მათ ვერანაირად ვერაფერს დავპირდებოდი, მათ გავაცანი შეწყალების მექანიზმი და ვუთხარი, რომ ყველა იმ საქმეს, რაც შემოვა მათგან, განვიხილავთ მეტი გულისყურით და ვერც ერთი ქალბატონი ვერ იტყვის, რომ მე მათ რამე განსაკუთრებულს დავპირდი. რაც შეეხება კომისიის უფუნქციობას, ამაზე ვერაფრით დაგეთანხმებით: კომისიამ განიხილა 312 განცხადება და იქიდან რეკომენდაცია გაუწია გარკვეულ მსჯავრდადებულებს და ეს გადაეცა პრეზიდენტს და უახლოეს დღეებში პრეზიდენტი გამოსცემს შეწყალების აქტს. მჟავანაძე თუ საუბრობს იმაზე, რომ მე ვიღაცას რაღაცას დავპირდი, უნდა ვუთხრა, რომ მარტო მე გადაწყვეტილებას არ ვიღებ, ამას იღებს პრეზიდენტი, რადგანაც ჩვენ მხოლოდ რეკომენდაციას წარვუდგენთ პრეზიდენტს“.

**ამის შემდეგ ვუკავშირდებით ალექსანდრე ელისაშვილს: გვაინტერესებს, სინამდვილეში რის გამო დატოვა კომისია?**

– ნიკას პატიოსან და პრინციპულ ადამიანად ვიცნობ, მაგრამ ჩემს შესახებ უფრო მეტი იცის? ჩემს შემთხვევაში არ შეიძლებოდა, პრეზიდენტის მრჩეველი იყოს რომელიმე თვითმმართველობის ორგანოს წევრი და ამიტომ წამოვედი, თორემ მაშინდელთან შედარებით ორჯერ ნაკლები ხელფასი მაქვს ახლა. საერთოდ, ესაა მარგველაშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის ნაწილი და უნდათ, რომ ერთადერთი ქმედითი ბერკეტი, რაც აქვს პრეზიდენტს, შეწყალება, წაართვან და გადასცენ პრემიერ-მინისტრს. რას ჰქვია, კვორუმი არ იკრიბება? იქ არის პასუხისმგებლობის მქონე ხალხი: ლია მუხაშავრია, ზვიად ქორიძე, თეა გოგოტიშვილი, გივი შახნაზარი, მეუფე თეოდორე და რა, ეპისკოპოსი არ დადიოდა? ასაკოვანი ადამიანია და სხდომა არ გაუცდენია. ჯერ ჩემთვის ეკითხა ნიკას და გაერკვია. შეწყალების კომისია ძალიან ეფექტურად მუშაობს და მის სიტყვებს არ ვეთანხმები.

**ნიკოლოზ მჟავანაძის დამოუკიდებლად მოვიძიეთ ინფორმაცია, სავარაუდოდ, რომელი წევრები აპირებდნენ შეწყალების კომისიის დატოვებას. ამათგან ერთმა, კონსტანტინე ჯანდიერმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, ხოლო მეორე, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოში არ აღმოჩნდა.**

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## სასამართლო თენგიზ ერისთავის განთავისუფლებაზე განცხადებას ავრცელებს

თბილისის საქალაქო სასამართლო თენგიზ ერისთავის გირაოთი განთავისუფლების თაობაზე განცხადებას ავრცელებს.

„2014 წლის 6 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართეს თენგიზ ერისთავის უფლებების დამცველებმა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე. თენგიზ ერისთავს ბრალად ედება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა.

სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა დასაშვებად ცნო, განიხილა ზეპირი მოსმენით და ადვოკატების შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის, გირაოთი – 10 000 ლარის ოდენობით შეცვლის თაობაზე დააკმაყოფილა. ბრალდებული თენგიზ ერისთავი განთავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ღია სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობას დაეთანხმა ბრალდების მხარე და თავად ბრალდებული. სასამართლომ გაითვალისწინა, ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე დაიკითხა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე ყველა პირი, რაც თავისთავად მინიმუმამდე ამცირებს მოწმეებზე ზემოქმედების რისკს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობა იყო დასაბუთებული და აღარ არსებობდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენების საფუძვლები. – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## აფხაზეთში რუსებისთვის ქონებრივ შეზღუდვას აუქმებენ

აფხაზეთის პარლამენტი მუშაობს ახალ კანონპროექტზე, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთასა და აფხაზეთის სხვა რაიონებში საცხოვრებლის შეძენის უფლებას აძლევს.

უძრავი ქონების შესყიდვაზე შეზღუდვა ჯერ კიდევ ბაღაფშისა და ანქვაბის დროს მოქმედებდა და მისი მიზანი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური გადარჩენა იყო. „რესპუბლიკის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელობა კი საფრთხეს ჩავლილად მიიჩნევს, შეზღუდვის აუცილებლობას ვერ ხედავს და მისი გაუქმების ინიციატივით გამოდის.

ამჟამად არსებული კანონმდებლობით, რუსებს უპრობლემოდ შეუძლიათ ომის შემდეგ აშენებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა, მაგრამ ასეთი მშენებლობა აფხაზეთში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ მიმდინარეობს.

ბოლო მონაცემებით, მეორად ბაზარზე გაგრაში 1 კვ/მ საცხოვრებელი ფართი 80 000 რუბლი ღირს, ბიჭვინთაში – 72 000. პირველადი ბაზრის სტატისტიკა არ არსებობს. ვინაიდან ახალი საცხოვრებელი სახლები აფხაზეთში პრაქტიკულად არ შენდება, რაც ამ დროისთვის აშენდა ეს, ძირითადად სამხედრო დასახლებებია და ბაზები ოფიცრებისთვის.

არ არის გამორიცხული, რუსებმა ქართველების მიერ დატოვებული უძრავი ქონება შეიძინონ. არსებული ინფორმაციით, მყიდველთა შორის რუსეთის ფედერაციისა და სირიის მოქალაქეები სჭარბობენ. უძრავ ქონებას თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება იმ ქართველებს ჩამოართმევს, ვინც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მონაწილეობდა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რას ამბობს ბიძინა ივანიშვილის ყოფილი თანამებრძოლი გია ხუხაშვილი ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნაზე

## რა კომპლექსები გაუჩნდათ კოალიციის წევრებს?

ორგანიზაცია მოქალაქის ხელმძღვანელი და ყოფილი პრემიერი საჯაროდ კიდევ ერთხელ გამოჩნდა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორი პროექტის პრეზენტაციას დაესწრო. ორივე პროექტი დაკავშირებულია სტუდენტებთან.

გამოჩნდა და კომენტარებიც გააკეთა, მაგრამ ჯერ არ გაუცია პასუხი კითხვებზე, რომელსაც საზოგადოება ელის:

სად არის ის „კარგი მთავრობა“ რომელიც დაგვიტოვა? რატომ არ ცხოვრობს ხალხი მისი წასვლიდან ორი წლის შემდეგ ნორმალურ ქვეყანაში, რასაც ის დაგვპირდა? როგორ იქნება სამი წლის თავზე ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო უკეთესი, როცა სახელმწიფოს ბიუჯეტისთვის ვალების აღება უწევს? ამის მერე, რატომ უნდა ვირწმუნოთ, რომ ოთხი წლისთავზე ჩვენ გვექნება ძალიან კარგი ქვეყანა და გავაოცებთ ქართული დემოკრატიით ევროპას?

რაც შეეხება ევროპის გაოცებას, ეს როდის მოხდება და როგორ, დრო გვაჩვენებს, მაგრამ ევროპამ რომ უკვე გაგვაოცა, ეს მისი რეკომენდაციით კარგად გამოჩნდა.

> „დღეს ჯანყარაშვილს ორი ამოცანა აქვს, ერთი – პარტიის მშენებლობა, მეორე – ჩამოაყალიბოს მწყობრი იდეოლოგია და მოძებნოს ადამიანური რესურსი, ვგულისხმობ პარტიულ სპიკერებს. პარტიის სახეების პოვნა დღევანდელ საქართველოში საკმაოდ რთულია, ამ ყველაფერს როგორ მოაბამს თავს ზვიად ჯანყარაშვილი, უახლოეს პერიოდში ვნახავთ“

**ბიძინა ივანიშვილის ყოფილი თანამებრძოლი, გია ხუხაშვილი „ალიას“ კითხვებს უპასუხებს, როგორ მოჩანს დღევანდელი გადასახედიდან ივანიშვილის მიერ დატოვებული მთავრობა...**

**— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი პოლიტიკას მართლა ემიჯნება, თუ ეს არის მანევრი?**

– ბატონ ბიძინასთან კონტაქტი დიდი ხანია არ მქონია, ვაკვირდები მის საქმიანობას. თქვენ მეკითხებით, გახდა თუ არა აპოლიტიკური ბიძინა ივანიშვილი. დღესაც პოლიტიკური პროცესი ბიძინა ივანიშვილის ნიშნით მიდის, დღევანდელი ხელისუფლება ჯერ კიდევ მის ავტორიტეტზე დგას. ხელისუფლებამ საკუთარი ავტორიტეტი ვერ შეიძინა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი სურათი გვაქვს. ამიტომაც, ინერციით ივანიშვილის ნიშნით მიდის ყველაფერი, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის არჩევანია. მე ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილის სურვილია, პოლიტიკასთან დისტანცირება მოახდინოს.



**— ვიდრე ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტს დატოვებდა, დაგვიბარა, რომ ორი წლის თავზე ამ მთავრობის სიკეთეს ხალხი იგრძნობდა, და ჩვენი დემოკრატიით ევროპას გავაკვირვებდით. ევროპა არ ვიცი, რამდენად გავაოცეთ, მაგრამ ევროსაბჭოს რეზოლუციამ და მათმა რეკომენდაციებმა ნამდვილად გაგვაოცა, სადაც კინაღამ აღმოჩნდა ბიძინა ივანიშვილის გვარ-სახელი, როგორც ამ ხელისუფლების კულისებიდან მმართველი ფიგურა. გავაოცეთ თუ არა ევროპა?**

– რა თქმა უნდა, ევროპას ვერანაირად ვერ ვაოცებთ და არც არის ასეთ ვადებზე საუბარი, ორ წელიწადში კი არა, ხუთ წელიწადშიც კი ძალიან გაგვიჭირდება ევროპის გაოცება, ბიძინა ივანიშვილი არ გულისხმობდა ასეთ კალენდარს და ნუ ვიქნებით ძალიან მომთხოვნები. ფუნდამენტური არის ის, რომ 1-ელ ოქტომბერს დასრულდა რეჟიმის სისასტიკე, შედარებით თავისუფლად სუნთქავენ ქართველები, ბიძინა ივანიშვილი თუნდაც ამიტომ არის ისტორიული ფიგურა, რომ ეს მოახერხა მშვიდობიანად. რაც შეეხება იმას, რა მდგომარეობაა ქვეყანაში. ეკონომიკურ საკითხებში სისტემური გარღვევა არ ჩანს, მეტ-ნაკლებად დაცულია ადამიანის უფლებები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი დემოკრატიული პროცესებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რა დაპირისპირებაა ძალაუფლების გადანაწილების პროცესში. აქ შეიმჩნევა გარკვეული პრობლემები, ძალიან სარისკოა ხელისუფლების ერთ შტოში აბსოლუტური ძალაუფლების აღების პროცესის მცდელობა. მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ეს პროცესი შეჩერდება, რადგან თვითონაც არ იციან, რასაც სჩადიან. არსებობს წინააღმდეგობა პრეზიდენტის მხრიდან და საზოგადოებისგან. ეს აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესია.

**— ახლა შევიხედოთ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ კულისებში. პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტზე პრემიერმა ზვიად ჯანყარაშვილი დანიშნა, რითაც, ფაქტობრივად, კახი კალაძეს ძალაუფლება გამოსტაცა. როგორ ფიქრობთ, ჯანყარაშვილი შეძლებს გააერთიანოს პარტია და მონოლითური პარტია შექმნას?**

– პარტიის თავმჯდომარე არის პრემიერი, ვიცე-პრემიერი კალაძე არის გენერალური მდივანი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ საკმარისი დრო არ აქვთ პარტიის ასაწყობად, აქედან გამომდინარე პრემიერს უნდა ჰქონდეს კომფორტი პარტიის აღმასრულებელ მდივნად დანიშნოს ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთი მხრივ ენდობა, რომელთან ერთადაც პარტიის მშენებლობაზე აიღებს პასუხისმგებლობას. ეს საკმაოდ მძიმე ამოცანაა,

> „პრემიერს უნდა ჰქონდეს კომფორტი, პარტიის აღმასრულებელ მდივნად დანიშნოს ისეთი ადამიანი, რომელსაც, ერთი მხრივ, ენდობა, რომელთან ერთადაც პარტიის მშენებლობაზე აიღებს პასუხისმგებლობას. ეს საკმაოდ მძიმე ამოცანაა, რადგან პარტია „ქართული ოცნება“ ჩემი გაგებით დღეის მდგომარეობით არ არსებობს. „ოცნება“, როგორც პარტიული წარმონაქმნი, ჯერ ქართულ სინამდვილეში არც გამოჩენილა“

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჯანყარაშვილის დანიშვნით პრემიერმა კალაძეს სამაგიერო გადაუხადა“



„ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად ზვიად ჯანყარაშვილის დანიშვნას „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, გივი თარგამაძე ეხმიანება:

„ახლა ხდება გარკვეული რევანში, გამომდინარე იქიდან, რომ კალაძემ თავის თავზე ზედმეტი აიღო, მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნების თავისი ხალხით მოგება განიზრახა. შედეგად მიიღო მეორე ტური, რაც საკმაოდ მძიმე შედეგი იყო. ეს შემდეგ ღარიბაშვილმა ფულით და პოლიციის ჩარევით გამოასწორა. ახლა აქვს რევანშის პერიოდი. თამაზაშვილი-ღარიბაშვილის კლანი მთავარ არტერიას ეპატრონება. ეს პოსტი „ქართულ ოცნებაში“ არ არსებობდა, ის საგანგებოდ შეიქმნა. როდესაც გაიგეს, რომ ზურა ჯაფარიძე დავნიშნეთ ამ პოსტზე, გაიგეს, რომ ასეთი პოსტი არსებობს პარტიებში. მანამდე კალაძეს, როგორც გენერალურ მდივანს, ეხებოდა ფინანსები და ეს ნაწილიც ჩამოერთვა. ფინანსებს ჯანყარაშვილი მიხედავს. თუ გადავხედავთ კონფიგურაციას, ყველა ფინანსურად საინტერესო პოზიციებზე თამაზაშვილის ხალხი დგას. ასე რომ, კალაძეს შეუძლია ან დაისვენოს ან საერთოდ გაეცალოს ამ სიტუაციას. ვხედავთ, რომ თამაზაშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში ორ ეგზემპლარად არის წარმოდგენილი, როგორც ღარიბაშვილი და როგორც ღარიბაშვილი. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯანყარაშვილის დანიშვნით ღარიბაშვილმა სამაგიერო კალაძეს გადაუხადა“, – განაცხადა თარგამაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „რას უპასუხებთ სკეპტიკოსებს?“



საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვედრისას ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებაზე აშშ-იდან გაჟღერებული კრიტიკის შესახებ ესაუბრა.

„ბატონო პრეზიდენტო, როდესაც დაიგეგმება თქვენი ვიზიტი შტატებში. მაინტერესებს, რას უპასუხებდით იმ ადამიანებს, რომლებიც სკეპტიკურად და კრიტიკულად უყურებენ საქართველოში არსებულ ვითარებას? რას უპასუხებდით სკეპტიკოსების მოსაზრებას, რომ საქართველო უფრო წარსულით არის შეპყრობილი, ვიდრე მომავლით?“, – მიმართა ნორლანდმა მარგველაშვილს.

მარგველაშვილის თქმით:

„მე ყურადღებით ვუსმენ ჩემს კოლეგებს დასავლეთიდან და ვფიქრობ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. თუ სასამართლოს ჩვენ ვუკარნახებთ, რა უნდა გააკეთოს, ეს დემოკრატიის მაღალ სტანდარტზე ვერ აისახება. პოლიტიკური ვენდეტა იქ მთავრდება, სადაც თავისუფალი არჩევნებია და პოლიტიკური ძალები არჩევნების გზით იცვლებიან. სამართალდამცავმა ორგანოებმა თავიანთი საქმე უნდა შეასრულონ და ეს ყოველგვარი პოლიტიკური სარჩულის გარეშე უნდა მოხდეს“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



*მეცხრე გვერდიდან*

რადგან პარტია „ქართული ოცნება“, ჩემი გაგებით, დღეის მდგომარეობით არ არსებობს. „ოცნება“, როგორც პარტიული წარმონაქმნი, ჯერ ქართულ სინამდვილეში არც გამოჩენილა. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ჰქონდა, ობიექტური მიზეზი არის ის, რომ პარტია იმყოფებოდა მუდმივ დაძაბულობაში, საარჩევნო ციკლში, ამის პარალელურად პარტიული მშენებლობა იყო რთული, ეს ყველაფერი ხდებოდა კოალიციურ რეჟიმში და „ოცნების“ საყრდენი იყო კოალიციაში შემავალი სხვა პარტიები, რომლებიც უფრო მეტად გამოცდილები იყვნენ, რაც იწვევდა პარტიის მშენებლობის შენელებას. ასევე, უნდა ითქვას, რომ კოალიციაში შემავალი სხვა პარტიები მაინცდამაინც დაინტერესებულები არ იყვნენ, რომ გაძლიერებულიყო „ქართული ოცნება“. გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენტის გაძლიერება არავის აინტერესებს, რბილად რომ ვთქვათ, სხვა პარტიები ხელს არ უწყობდნენ პარტია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პროცესს. შესაძლოა, პარტიის მენეჯმენტის სისუსტის ბრალიც იყო, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოში არ მახსენდება ისეთი ფიგურა, რომელიც მენეჯმენტით გამოირჩევა. აშკარაა ადამიანური რესურსის ნაკლებობა და ეს პარტია გარკვეულწილად ამორფულ წარმონაქმნს წარმოადგენდა, მე მივესალმები პრემიერის ამ გადაწყვეტილებას და წარმატებას ვუსურვებ ზვიად ჯანყარაშვილს ამ გზაზე. დღეს ჯანყარაშვილს ორი ამოცანა აქვს, ერთი – პარტიის მშენებლობა, მეორე – ჩამოაყალიბოს მწყობრი იდეოლოგია და მოძებნოს ადამიანური რესურსი, ვგულისხმობ პარტიულ სპიკერებს. პარტიის სახეების პოვნა დღევანდელ საქართველოში საკმაოდ რთულია, ამ ყველაფერს როგორ მოაბამს თავს ზვიად ჯანყარაშვილი, უახლოეს პერიოდში ჩვენ ვნახავთ. პარტიის მექანიკური მშენებლობა არაფრისმომცემია, თუ ჩვენ ვერ ვიხილეთ კვალიფიციური გუნდი, რომელიც შეძლებს სრულფასოვან ოპონირებას პოლიტიკურ კონკურენტებთან.

**— როგორ ფიქრობთ, რომელი პოლიტიკოსი აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში „ქართული ოცნებიდან“? გულწრფელად გეტყვით როგორც ჟურნალისტი, რომ იქ შემავალი არც ერთი პოლიტიკოსი არ მხიბლავს და არასდროს მქონია სურვილი რომელიმე მათგანი ჩემი რესპონდენტი გამხდარიყო, რადგან „ოცნება“ ამ ეტაპზე ძალიან ულიმღამოდ გამოიყურება, უინტერესო სახეებით.**

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ისინი არიან არაკონკურენტუნარიანები, ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე საკუთარ თავს ვერ წარადგენენ. მე არ ვიცი, რომელი პოლიტიკოსი გამოემშვიდობება პარტია „ქართულ ოცნებას“ და არა მგონია, ასე დადგეს საკითხი. მე ვფიქრობ, რომ მოხდება ამ პარტიაში შემავალი ზოგიერთი პოლიტიკოსის უკანა პლანზე გადანაცვლება და ამ პოზიციებს დაიკავებენ ახალი სახეები, რომლებიც გარედან იქნებიან შემოყვანილები, ეს პარტია ნულიდანაც არ იწყება, მეტიც, ზვიად ჯანყარაშვილს მოუწევს მინუსებიდან გადავიდეს პლუსებში, „ქართული ოცნება“ ნდობის კრედიტს კარგავს და ამას სჭირდება დაბალანსება, ბატონი ზვიადის ამოცანა ძალიან სერიოზულია და ამავდროულად, ძალიან მძიმე. მე მომისმენია, რატომ არ დაასახელა პრემიერმა პოლიტსაბჭოდან აღმასრულებელი მდივნის პოსტზე რომელიმე მათგანი. სიმართლე გითხრათ, მე რომ ღარიბაშვილის ადგილზე ვყოფილიყავი, არც მე დავასახელებდი რომელიმეს პოლიტსაბჭოდან აღმასრულებელი მდივნის პოსტზე. იქ, ისეთი თვისების მატარებელი, რომელსაც შეუძლია მართოს პარტია და იყოს კარგი მენეჯერი, არც ერთი არ მეგულება. ისედაც ვერასოდეს ვხედავდი პარტიულ მშენებელს პოლიტსაბჭოში.




**„ფაქტობრივად, ეს რეზოლუცია არის „გრინ კარტა“ ნებისმიერი „ნაციონალი“ კრიმინალი დევნილისთვის, იმისთვის, რომ მიიღოს პოლიტიკური თავშესაფარი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, „ნაციონალური მოძრაობის“ „ზონდერს“, რომელსაც აქვს დანაშაული ჩადენილი, ამ რეზოლუციის საფუძველზე ხელ-ფეხი ეხსნება, მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი და უპრობლემოდ დაუკმაყოფილებენ მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში ევროსასამართლო არც ერთ შემთხვევაში არ გადმოგვცემს დამნაშავეს“**

**— არაერთხელ მსმენია, რომ „ქართულ ოცნებაში“ და პოლიტსაბჭოში არიან ადამიანები, რომლებიც ღარიბაშვილს ზურგს უკან პოლიტიკურ სამარეს უთხრიან, უცხოელებთან ამცირებენ პრემიერს და მათ უმტკიცებენ, რომ ის არის გამოუცდელი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც თავად არ არის გარკვეული საით მიდისო. თავის დროზე ასეთი ხალხი საიდან შეკრიბეთ? ძირითადი მათგანი პოლიტიკური სანაგვიდან არის ამოყვანილი, რა საჭირო იყო ძველი სახეების გაცოცხლება?**

– სამწუხაროდ, გიდასტურებთ, ასეთი თამაშები არა მარტო პარტია „ქართულ ოცნებაშია“, არამედ კოალიციაშიც... მეც მსმენია ასეთი საუბრები. ეს არის წვრილმანი ადამიანური რამ. როცა ხედავ, ისე არ მიდის პროცესი, როგორც საჭიროა, კოალიციაში შემავალი სუბიექტები და პარტია „ოცნების“ წევრები ცდილობენ, პასუხისმგებლობა ერთ ადამიანს აჰკიდონ. სხვათა შორის, ადრე ამას აკეთებდნენ ბიძინა ივანიშვილის მისამართით. ასეთია პოლიტიკური კასტა, რას იზამ, ასეთები არიან პოლიტიკოსები. როცა კოალიცია ყალიბდებოდა და პარტია „ქართული ოცნება“ იქმნებოდა, იყო რთული სიტუაცია და მივიღეთ ის მოცემულობა, რაც მივიღეთ. გულწრფელად გეტყვით, რომ ხელისუფლებაში ჩემი პროჟექტე არავინ არ ყოფილა, ლეგენდა ხუხაშვილზე გადაჭარბებულია, ხდებოდა კადრების მოძიება, ზოგს მე ვიცნობდი და ზოგს სხვები, ასე მოგვყავდა ადამიანები პარტიაში. როცა თქვენ საუბრობთ, რომ უცხოელ კოლეგებთან აკრიტიკებენ პრემიერს მისი თანაგუნდელები, ამაზე გამეცინა, რადგან კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები მიიჩნევენ, რომ მათ აქ უსმენენ. ეტყობა, ამიტომაც კულუარებში ლაპარაკს ერიდებიან.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ თითოეულ მათგანს უსმენენ და ამას ხელისუფლება აკეთებს?**

– არ ვიცი, ეს კომპლექსი მათ აქვთ. ეს მათ ჰგონიათ, რომ მუდმივი კონტროლის ქვეშ არიან, ამიტომაცაა, რომ უცხოეთში თამამად საუბრობენ თავიანთ გაჭირვებაზე...

**— და მათმა მუშაობის შედეგმა არ დააყოვნა, მივიღეთ ის, რაც წესით არ უნდა მიგვეღო, ევროსაბჭოს რეზოლუცია და „ნაციონალებს“ მწვანე ბარათი პოლიტიკური თავშესაფრისთვის. ფიქრობთ, თუ არა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ფანჯიკიძე ამ საქმეს შეეწირება?**

– არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს ახლა არ მოხდება, თუმცა რამდენიმე თვეში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაემშვიდობება. ფანჯიკიძეს გაჰყვება რამდენიმე მინისტრი, შეიძლება ალასანიაც... იმაზე საინტერესო პოლიტიკური პროცესები დაიწყება, ვიდრე ახლა არის. მე მაინც ვფიქრობ, რაც მოხდა, ეს არის სისტემის პრობლემა, სისტემის ხარვეზები იწვევს იმას, რომ არასწორად შერჩეული ადამიანები იქნენ მივლინებული ამ საქმეზე, რომლებმაც არასწორად იმუშავეს, ზედაპირულები არიან. მიზეზი არის ისიც, რომ თვითონ სამართალდამცავი სისტემა, ძალიან ბევრ ლაქას ტოვებს სამართალწარმოებაში, რასაც ძალიან კარგად იტაცებს პოლიტიკური ოპონენტი, რადგან წარმოუდგენელია დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც ქართულმა საზოგადოებამ ვერდიქტი გამოუტანა, ამ ვერდიქტის გაფორმება ვერ ხერხდება. ეს არის სამართალდამცავი სტრუქტურის სისუსტის ბრალი. ნაცვლად იმისა, რომ ლოგიკური პროცესები მიიყვანონ ლოგიკურ დასასრულამდე, „ნაციონალურ მოძრაობას“ „სატოპკეებს“ უწევენ სააკაშვილის კოსტიუმებით, ქაშმირის პალტოებით, მზია ბებოს ათი წლის მანქანით, სულ „სატოპკეების“ აწევა ხდება, ნაცვლად იმისა, რომ გამიჯნონ პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთისგან. თვითონ აძლევენ არგუმენტებს თავიანთ პოლიტიკურ ოპონენტებს, სალაპარაკოდ ქეისების შესაქმნელად, რაც შემდეგ იდება ევროპარლამენტარების მაგიდაზე, მაგრად მუშაობენ და შედეგსაც იღებენ და შედეგს იღებენ იმ ფონზე, სადაც მეორე მხარე ძალიან მსუბუქად უყურებს ამ საკითხს, არ მუშაობს ეფექტურად და ვიღებთ ასეთ სურათს. ფაქტობრივად, ეს რეზოლუცია არის „გრინ კარტა“ ნებისმიერი „ნაციონალი“ კრიმინალი დევნილისთვის, იმისთვის, რომ მიიღოს პოლიტიკური თავშესაფარი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში, „ნაციონალური მოძრაობის“ „ზონდერს“, რომელსაც აქვს დანაშაული ჩადენილი, ამ რეზოლუციის საფუძველზე ხელ-ფეხი ეხსნება, მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი და უპრობლემოდ დაუკმაყოფილებენ მოთხოვნას. ასეთ შემთხვევაში ევროსასამართლო არც ერთ შემთხვევაში არ გადმოგვცემს დამნაშავეს. ვილაცები კი ფიქრობენ, თითქოს არაფერი ისეთი არ ხდება და ეს არ არის საგანგაშო რეზოლუცია, მაგრამ გარწმუნებთ, ეს იქნება ძალიან მძიმე მომავალ პოლიტიკურ პროცესებშიც კი, თუ ჩვენ გვინდა ევროპაში, მაშინ რეკომენდაციები ანგარიშგასაწევია და თუ არ მივდივართ ევროპული გზით, ეს სხვა საკითხია.



**„ქართველი საზოგადოება არ მიიღებს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე დამკვეთები არ დაისაჯონ. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს იმდენად კვალიფიციურად მაღალი სტანდარტით, რომ უცხოეთში არავის კითხვები არ გაუჩნდეს, მაგრამ, როცა პრემიერის ამერიკაში ვიზიტის წინ აყადაღებენ ყოფილი პრეზიდენტის ბებიის ქონებას და არგუმენტი არის ის, რომ სააკაშვილის ბებია აპირებდა ათი წლის „ოპელის“ გაყიდვას, ეს აძლევს არგუმენტებს მოწინააღმდეგე მხარეს“**

**— პრეზიდენტ მარგველაშვილს აშშ-ს ელჩმა ჰკითხა: როცა აშშ-ში სამუშაო ვიზიტი დაიგეგმება, როგორ აპირებთ გაუმკლავდეთ სკეპტიკოსებს ვაშინგტონში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველო წარსულითაა შეპყრობილი. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წინა ხელისუფლების სასამართლო პროცესები მეც მაღელვებს და მზად ვარ, მოვუსმინო კოლეგებს. ფიქრობთ თუ არა, რომ მარგველაშვილი კიდევ ერთხელ ღიად აფიქსირებს ხელისუფლებასთან წინააღმდეგობას ამ თემებზე?**

– სახელმწიფო დეპარტამენტმა არაერთხელ გაგვაფრთხილა, რომ თავი დავანებოთ წარსულში ცქერას და გავიხედოთ წინ. რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ წინ არ უნდა ვიყუროთ და სამართლიანობა აღვადგინოთ, მაგრამ საქმე ისაა, მინიმუმ სამართალი პოლიტიკისგან უნდა გავმიჯნოთ. ქართველი საზოგადოება არ მიიღებს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე დამკვეთები არ დაისაჯონ. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს იმდენად კვალიფიციურად მაღალი სტანდარტით, რომ უცხოეთში არავის კითხვები არ გაუჩნდეს, მაგრამ, როცა პრემიერის ამერიკაში ვიზიტის წინ აყადაღებენ ყოფილი პრეზიდენტის ბებიის ქონებას და არგუმენტი არის ის, რომ სააკაშვილის ბებია აპირებდა ათი წლის „ოპელის“ გაყიდვას, ეს აძლევს არგუმენტებს მოწინააღმდეგე მხარეს.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „24-საათიანი მუშაობა გვიწევს“



საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე მერიის მაღალჩინოსნებზე დანამატის გაცემასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს.

„მოგეხსენებათ, რომ მერიას საკრებულოს თანხმობა არ სჭირდება. ეს თანხები 2014 წლის ბიუჯეტში იმთავითვე იყო გათვალისწინებული. ამ თანხების გაწერა არ ხდება იმ 30 მლნ საკრედიტო ხაზიდან, რომელიც მერიას საკრებულომ დაუმტკიცა. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა უკვე არაერთგზისაა ინფორმირებული, რომ აღნიშნული თანხებიდან სოციალური, ბინათმესაკუთრეთა და ოლიმპიური სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას, გუნდს აღებული გვაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე და ორიენტირებულები ვართ შედეგზე. აქედან გამომდინარე, გვიწევს 24-საათიანი მუშაობა და მიგვაჩნია, რომ საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ანაზღაურება“, – განაცხადა ბერაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მერიის მაღალჩინოსნებისთვის სახელფასო დანამატის დამტკიცება კითხვებს აჩენს“



თბილისის მერიის მაღალჩინოსნებისთვის სახელფასო დანამატის დამტკიცებას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ სახიფათოდ მიიჩნევენ.

„ბრძანება, რომელიც მიღებულია თბილისის მთავრობის მიერ, ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. აქ არ არის საუბარი, რომ კონკრეტული დასაქმებული პირები, ვინც ყოველთვიურად სახელფასო დანამატს მიიღებენ, არ მიიღებენ პრემიას. საინტერესოა, რა დამსახურების მიხედვით მოხდება სახელფასო დანამატის გაცემა. შესაძლებელია, ეს გადაწყვეტილება მაპროვოცირებელი აღმოჩნდეს სხვა თვითმმართველობისთვის და დედაქალაქის მთავრობას მათაც მიბაძონ“, – განაცხადა საია-ს იურისტმა სულხან სალაძემ. (ნიუპოსტი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# ჯონდი ბაღათურია: „ყველა, ვინც ჭკვიანია „ოცნებაში“, ხვდება, რომ მათი პოლიტიკური ძალის საქმე არის ძალიან ცუდად“



**საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით „ქართული დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია მორიგ ბრიფინგს მართავს — საარჩევნო რეფორმის აუცილებლობაზე.**

**„ალია“ ჯონდი ბაღათურიას ესაუბრა:**

**— ბატონო ჯონდი, ამჯერად რა იყო ბრიფინგის ჩატარების მიზანი?**

– დღეს ჩვენი და მთელი ქართველი საზოგადოების ამოცანაა, მივაღწიოთ სამართლიან, კონკურენტულ საარჩევნო გარემოს და სამართლიან არჩევნებს. ამ მიზნით ჩვენ ვგეგმავთ საარჩევნო კანონის სიღრმისეულ რეფორმას. მუდმივად ვაწყდებით ამ საკითხს არჩევნების წინ, მერე ხელისუფლება წელავს ხოლმე პროცესს და ამბობს, ახლა გვიანია და შემდეგი არჩევნებისთვის გადავდოთო. ეს მერამდენე გადადებაა, ვინ მოთვლის. დღემდე ჩვენ გვაქვს შევარდნაძის დროინდელი ამომრჩეველთა სიები, მერე სააკაშვილის რეჟიმმა დაამატა „მკვდარი სულები“ და არც „ქართულმა ოცნებამ“ დააკლო „მკვდარი სულები“. ანუ გაურესება და რეგრესია სახეზე. იცით, რა სიტუაციაა საარჩევნო ადმინისტრაციაში, ხმების დათვლის დროს ერთმა ადამიანმა 11 ადამიანს როგორ უნდა გაუწიოს მონიტორინგი? ხმების ქურდობა მათთვის ადვილია. გამოიკვეთა, რომ ყველა პოლიტიკური პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია დიდ პრობლემად მიიჩნევს საარჩევნო სისტემას. ბოლოს რომ ჩატარდა არჩევნები, „ქართულმა ოცნებამ“ 43% აიღო და 75 პროცენტით შევიდა საკრებულოში, ასეთი ფოკუსის განხორციელების საშუალებას როცა იძლევა კანონი, იქნებ ამიხსნან, რა ლოგიკაა იმაში, რომ 43%-ს გაძლევს ამომრჩეველი და შენ 75%-ს ითვისებ. ჩვენ ვამბობთ, რომ რამდენ პროცენტსაც აიღებს, იმ პროცენტულობით უნდა შევიდეს საკრებულოსა და პარლამენტში. ამიტომ უნდა შეიცვალოს საარჩევნო სისტემა. უნდა შეიცვალოს მაჟორიტარული სისტემაც. ეს ინსტიტუტი პარაზიტად ჩამოყალიბდა. შინაარსით პარაზიტი სისხლისმწოველი წურბელაა, რომელიც თავის რაიონში ხალხს სისხლს წოვს და მდიდრდება. ყველას არ ეხება ეს, მაგალითად, გედი ფოფხაძეს, მაგრამ უმეტესობა ასეა. ეს ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა.

**— ეს თემები ხომ დიდი ხანია ცნობილია ხელისუფლებისთვის. ინტერპარტიული შეხვედრის შემდეგ, ზვიად ძიძიგურმა იცით, რა კომენტარი გააკეთა, როცა ჰკითხეს, ოპოზიცია უკმაყოფილოა, კოდექსის შეცვლას საშველი რომ არ დაადგაო? ოპოზიცია აბა, რის ოპოზიციაა, თუ უკმაყოფილო არ დარჩაო? თითქოს დაგცინათ. არადა, ისიც თქვენსავით იბრძოდა საარჩევნო კოდექსის დასახვეწად, სანამ ოპოზიციაში იყო. ახლა რატომ ვერ თანხმდებით?**

– ძალიან საინტერესოა, რატომ განიცდიან ჩვენი კოლეგები ასეთ დიამეტრალურ სახეცვლილებას. არსებული საარჩევნო კოდექსი, რომელიც ხათუნა გოგორიშვილის მიერ არის დაწერილი, აძლევს საშუალებას, ხელისუფლებას შეინარჩუნოს ძალაუფლება უკანონოდ, უსამართლოდ და დიდხანს. ამ კოდექსის იმედი აქვს ბევრ ჩემს კოლეგას, რომლებიც თანაკლასელებივით, პოლიტიკაში ბავშვობის მეგობრებივით მოვედით ერთად. ეს ის თემებია, რომლებიც ერთად გავიარეთ და ახლა იმ თემებზე ველაპარაკებით, რომელზეც ერთად ვმუშაობდით და ხელი აქვთ მოწერილი. ახლა ამ ხელმოწერილი დოკუმენტის შესრულებას ვითხოვთ.

**— შიგნით, მოლაპარაკების მაგიდასთან რას გეუბნებიან?**

– მიზეზი იმისა, რატომაც ასე ლაპარაკობენ, არის ის, რომ კომფორტულად გრძნობენ თავს. ამ პოლიტიკურ ძალას არ აქვს არც უნარი და არც სურვილი პასუხისმგებლობის, რომ ხალხს მისცეს უკეთესად ცხოვრების საშუალება. როცა ხელისუფლება ასეთ სიტუაციაშია, ის ყოველთვის მიმართავს ხრიკებს. დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ ასე ვეტყოდი ამ ადამიანებს, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. არ მგონია, ხელისუფლების წარმომადგენელს ვინმეს დასაცინად ან საერთოდ, სასაცილოდ ჰქონდეს საქმე. ყველა, ვინც ჭკვიანია „ოცნებაში“, ხვდება, რომ მათი პოლიტიკური ძალის საქმე არის ძალიან ცუდად. ჩვენთვის, არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის, როცა ხელისუფლების რეიტინგი ეცემა, ჩნდება ხოლმე შანსი ხელისუფლებაში მოსვლის, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა სულ არ გვსიამოვნებს, ხელისუფლება რომ ასე ურევს. სულაც არ მიხარია, საქმე ასე ცუდად რომ მიდის და კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ძველი მეგობრები და თანამებრძოლები ვერ ხვდებიან, რა ცუდად არიან და კიდევ სხვისი დაცინვის ხასიათზე დგებიან.

**— როცა ხედავთ, რომ ხელისუფლება თქვენ ყურადღებას არ გაქცევთ და „ნაციონალებს“ ზოგჯერ თვალებშიც კი შესციცინებენ, რა გეიმედებათ ამ ხელისუფლების?**

– ჩვენ ნაციონალებს მივაქცევთ ყურადღებას, როცა შევცვლით პოლიტიკურ ბალანსს და მოვალთ პარლამენტში, მათთან კი ისაუბრებენ პროკურორები. მაგრამ პროკურორების ლაპარაკი და ქვების სროლა „ქართულ ოცნებასთან“ არ გვსურს, მაგრამ ბევრ საკითხში ვართ ოპონირების რეჟიმში, რადგან ბევრს მიჰქარავენ, პირდაპირ ვამბობ. ჯერ კიდევ არის რესურსი, მოლაპარაკების გზით შევქმნათ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომ კონკურენტუნარიანი იყოს საარჩევნო გარემო, დაიხვეწოს კოდექსი.

**— უცხოელებს არაერთხელ შეხვდით და როგორც ვიცი, გადაეცით კიდეც თქვენი მოთხოვნები. რატომღაც ხმას არ იღებენ კოდექსზე. რა ხდება, იცით?**

– ეს გავაცანით საერთაშორისო ორგანიზაციებს და დიპლომატიურ კორპუსს. მათ მივმართეთ თხოვნით, გაგვიწიოს ტექნიკური დახმარება. გვქონდა კონსულტაციები ადგილობრივ არასამთავრობოებთან, რომელთაც აქვთ გავლენა საზოგადოებრივ აზრზე. ისინიც ჩაერთვებიან ამ პროცესში და ყველა ერთად მივმართავთ ხელისუფლებას. წინა ორი ფორმატის დროს აშკარად იგრძნობოდა, რომ პრემიერი იღებდა ამ საკითხებზე გადაწყვეტილებას და ჩვენ მასაც მივმართეთ. ფორმატი შექმნილია, ახლა ვითხოვთ, დავსხდეთ და ვისაუბროთ.

**— ისევ აპირებთ ინტერფრაქციულთან მუშაობას?**

– დიახ, ვგეგმავთ, ამ მიზნით მივმართეთ ხელისუფლებას, რომ მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკულად გაგრძელება.

**— საბოლოო გადაწყვეტილებას ხომ მაინც ხელისუფლება იღებს და თუ კოდექსის შეცვლის პოლიტიკური ნება არ აქვთ, რა აზრი აქვს ინტერფრაქციულთან საუბარს?**

– როცა რაღაც საკითხების რეალიზება გინდა, წინასწარ არ უნდა დაიწყო ლანძღვა იმ ადამიანის, ვისაც ესაუბრები. წინასწარ ხომ არ ვიცით, გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენს წინადადებებს. თუ ვერ მოვახერხებთ ცივილიზებულად, ყველა პოლიტიკურ ბერკეტს გამოვიყენებთ მათ დასარწმუნებლად. დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, პროცესები ქუჩაში არ გაიტანოს. კიდევ ერთი უსამართლო არჩევნები დაუშვებელია.

**— გონიერება რომ არ ეყოს და არაფერი შეცვალონ? რა ვადას აძლევთ ხელისუფლებას, სადამდე დააცდით და მერე რას აპირებთ, რას მოიმოქმედებთ?**

– არანაირ ულტიმატუმებსა და ვადის დათქმას ადგილი არ ექნება ჩემი მხრიდან, ვინც ასეთი ტონით ისაუბრებს, არასერიოზული იქნება. ხელისუფლებაც იმას იტყვის, რომ ტონი მისთვის მიუღებელია. შედეგზე ვართ ორიენტირებული და კონსტრუქციულ რეჟიმში გვინდა მოლაპარაკების მაგიდასთან დავსვათ. თუ არ დაჯდები, ქვას გესვრიო, ასე რომ ვუთხრათ, არასერიოზული იქნება და ვერც საქმეს გავაკეთებთ.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მიჭირხვნა“ ქობულეთში — რა ბედი ელის მედიას „ჯორჯია პალასში“ თათბირის შემდეგ

„ოდესღაც მე გამოვიყენე სიტყვა „მიჭირხვნა“ და ჟურნალისტებმა გაიგეს „მიჯირყვნა“. მას შემდეგ ორჯერ განვმარტე, რომ გამოვიყენე „მიჭირხვნა“, მაგრამ დღესაც ჟურნალისტების დიდი ნაწილი „მიჯირყვნას“ იყენებს. აი, ეს არის დღევანდელი მედია. არ იცოდნენ სიტყვა „მიჭირხვნა“. ეს მედიის დიდ ნაწილს ეხება. არ იფიქროთ, რომ თუნდაც ეს განმარტებაც უშველის საქმეს, ისევ გააგრძელებენ იმავეს“, – მედიის ეს შეფასება ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუდანაა. როგორც ჩანს, „მისაჭირხვნი“ კიდევ ბევრია, ამას მოწმობს ქობულეთში „ჯორჯია პალას ჰოტელში“ საგანგებოდ გამართული თათბირი, სადაც ბიძინა ივანიშვილი ექსპერტებს, ჟურნალისტებსა და მისთვის საინტერესო პერსონებს შეხვდა.

როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, გაუხმაურებელი შეკრება ეხებოდა ხელისუფლებისთვის მედიის დღეს არსებული საინფორმაციო პოლიტიკის მიუღებლობას და „ურჩი“ ჟურნალისტებისგან ტელევიზიების „გაწმენდას“.

ქობულეთის თათბირს „ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ესწრებოდნენ: სოსო გალუმაშვილი (პიარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრას“ უფროსი კონსულტანტი), ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი), ბასა ჯანიკაშვილი (მწერალი, დრამატურგი), გოგა ხაინდრავა (რეჟისორი), გურამ ნიკოლეიშვილი (ექსპერტი), ბექა დავითულიანი (ჟურნალ „ლიბერალის“ ბლოგერი, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის თანამშრომელი), რეზო საყევარიშვილი (ტვ „იმედის“ გენდირექტორი).

25 სექტემბერს მატარებლის დილის რეისით გამგზავრებულებს ივანიშვილი, მედიაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, უკმაყოფილო დახვდა. ექსპრემიერს ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენური ვითარების გაშუქება არ მოსწონს. წყაროს ცნობით, ივანიშვილს არც ის ჟურნალისტები მოსწონს, რომელთა ტოქშოუები ქვეყნის წინაშე მდგარ მწვავე პრობლემებს ეძღვნება ხოლმე, რის გამოც, მაგალითად, ტვ „იმედის“ გენერალურმა დირექტორმა რეზო საყევარიშვილმა ივანიშვილისგან საყვედურიც მიიღო...

„ნიუპოსტი“ დაუკავშირდა რეზო საყევარიშვილს, თუმცა ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის შემდეგ, მან პასუხი არ ისურვა და ტელეფონი გათიშა. ბიძინა ივანიშვილის დაგეგმილი შეხვედრა ემთხვევა ჟურნალისტ ვახო სანაიას „მაესტროდან“ წასვლას, თუმცა ეს დამთხვევაა თუ ივანიშვილთან შეხვედრას უკავშირდება და მისი წასვლა პირველია და უკანასკნელი, თუ გაგრძელებაც მოჰყვება, ამას დრო გვიჩვენებს. ტოქშოუებში მტკივნეული აქცენტების გაკეთება აშკარაა, რომ ხელისუფლებას არ მოსწონს. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილთან შეხვედრაზე აღნიშნულ საკითხსაც დიდი დრო დაეთმო.

„ნიუპოსტი“ შეეცადა დეტალების გადამოწმებას. ვასილ მაღლაფერიძე შეხვედრას ადასტურებს და ამბობს, რომ ის ნამდვილად შედგა ქობულეთში ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, მაღლაფერიძე დამსწრეთა შორის ერთ-ერთ ექსპერტსაც ასახელებს – სოსო გალუმაშვილს, თუმცა ამბობს, რომ შეხვედრას პოლიტიკოსები და ექსპერტები არ ესწრებოდნენ, მისი თქმით, საუბარი მეფუტკრეობის განვითარებას ეხებოდა: „შეხვედრა იყო ბიძინა ივანიშვილთან, თუმცა იქ არ იყვნენ არანაირი ექსპერტები. უბრალოდ შეხვედრა იყო. შეხვედრა იყო ბიძინა ივანიშვილის იდეა. პოლიტიკური ფიგურები იქ არ იმყოფებოდნენ. ჩვეულებრივ საკითხებზე ვსაუბრობდით. ეს იყო ჩვეულებრივი შეკრება ადამიანების, ვსაუბრობდით მიმდინარე საკითხებზე. შეხვედრაზე იმყოფებოდა სოსო გალუმაშვილიც. ეს არ იყო სამუშაო და ოფიციალური შეხვედრა. პრესისთვის საინტერესო იქ არაფერი არ იყო. არავითარი ექსპერტები იქ არ იყვნენ და არავითარ შენიშვნებზე იქ საუბარი არ იყო. გითხარით უკვე, რომ მიმდინარე საკითხებზე ვსაუბრობდით. აი, მაგალითად, საუბარი შეეხო მეფუტკრეობასაც და ასე შემდეგ“.



რაც შეეხება სოსო გალუმაშვილს, ზარებს არ უპასუხა.

ღმერთმა ქმნას, ეს შეხვედრა მეფუტკრეობის პრობლემების გამო შემდგარიყო, თუმცა ნამდვილად ვერ დავეყრდნობით ვასილ მაღლაფერიძის სიტყვებს...

„ნიუპოსტი“ აგრძელებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დამუშავებას და რესპოდენტებთან მისი გადამოწმების შემდეგ საზოგადოებას დაწვრილებით მიაწვდის ინფორმაციას – ემუქრება თუ არა საფრთხე ტოქშოუებს, სადაც თავისუფლების ხარისხი მაღალია; რა ცვლილებებია მოსალოდნელი სარეკლამო ბაზარზე, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი გავლენა იქონიოს მედიის თავისუფლებაზე; დასრულდა თუ არა საქართველოში მედიის ბედის ვიწრო წრეში გადაწყვეტის მანკიერი პრაქტიკა, რომლის მთავარი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება მისი თავისუფლების შეზღუდვა.

ის, რომ ხელისუფლება მედიით უკმაყოფილოა, ეს ბუნებრივი და კარგი მდგომარეობაა. ალბათ, არ არსებობს დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის ხელისუფლებაც მედიით სრულად კმაყოფილი იყოს, მაგრამ ამ სახელმწიფოების დემოკრატიულობის ხარისხს სწორედ ამ უკმაყოფილებაზე რეაქციის ხარისხი განსაზღვრავს. ვნახოთ, როგორია ჩვენი ხელისუფლების რეაქციები... (ნიუპოსტი)

**„ალიასგან“:** ჩვენთვისაც ბევრი რამ დარჩა გაუგებარი. თუკი წყარო ამბობს, რომ საკითხი პრესას ეხებოდა, ალბათ, ასეც იყო, რადგან ივანიშვილი მეფუტკრეობის საკითხებზე, მინიმუმ, იმ ადამიანებს არ დაუძახებდა სასაუბროდ, რომლებიც ინფორმაციაშია ჩამოთვლილი.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ლევან ჯავახიშვილმა „იმედი“ დატოვა — ჩემი და არხის გზები გაიყარა



ჟურნალისტი და საინფორმაციო „ქრონიკის“ წამყვანი ლევან ჯავახიშვილი ტელეკომპანია „იმედიდან“ წავიდა. როგორც ჟურნალისტი აცხადებს, მაყურებელს ახალ არხზე, **TVS**-ზე დაუბრუნდება.

– „იმედი“... არხი, რომელიც მიყვარს და მგონია, რომ რაღაცნაირად სულით ხორცამდე „იმედის“ ვარ და „იმედი“ ჩემია... აქამდე მხოლოდ სამ ტელევიზიაში მიმუშავია, „1-ელ არხზე“ 2000-2003წ.წ. „იმედზე“ 2003-2007 წწ. 2009-2012 ისევ „1-ლი არხი“, 2013 წ. „მე-9 არხი“ და 2013-2014 წწ. ისევ „იმედი“. დღემდე ვამბობ, რომ იმედელი ვარ! მიყვარს ძველი „იმედი“ (2003-2007), ყველაზე მაგარი გუნდი, რაც კი ტელესივრცეში ყოფილა... და დავბრუნდი „იმედში“ დიდი იმედებით... სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩემი და არხის გზები გაიყარა.. მინდა ახლანდელი „იმედის“ ყველა თანამშრომელს მადლობა ვუთხრა და სიყვარულში გამოვუტყდე... მადლობა „ქრონიკის“ გუნდს სითბოსთვის და გვერდში დგომისთვის! მიყვარხართ, ბავშვებო! ძალიან გული მწყდება... მაგრამ თქვენი ვარ და ვიქნები სულით და გულით! გეფერებით თითოეულს! განსაკუთრებული მადლობა მაყურებელს... თქვენ, ჩემო ძვირფასებო, ადამიანებო, რომლებმაც იმდენი სითბო მომეცით, რომ ამ სითბოს ვატარებ გულში ახლაც... ერთმანეთს ახალ არხზე, **TVS**-ზე შევხვდებით, რომელიც ჯერ ფეხს იდგამს და ვიმედოვნებ, რომ ვიმეგობრებთ! მეამაყება ჩემი „იმედი“... ძველი „იმედი“ და ახლანდელი! მეამაყება და მენატრება მაყურებელი, რომელსაც ბოდიშს ვუხდი... ბოდიში თუ ოდესმე გაწყენინეთ რამით ან იმედი გაგიცრუეთ! მიყვარხართ და მენატრებით! თქვენი ლევან ჯავახიშვილი, – წერს ლევან ჯავახიშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## თინა კანდელაკმა ვლადიმერ პუტინს დაბადების დღე მიულოცა — „მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო ვლადიმერს“



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს იუბილეს რუსეთში მოღვაწე ქართველი ტელეწამყვანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ულოცავს.

– ძალაუფლება არ ეძლევა ადამიანს სტატუსით, მას ხალხი აძლევს. პირველ რიგში, ეს ადამიანის ხასიათის შტრიხებია, როცა მას აქვს უნარი, მართოს ქვეყანა – ეს სინამდვილეში დიდი ნიჭია. როგორც ვილსონი წერდა, „ძალაუფლება შედგება შესაძლებლობისგან, დაუკავშირო საკუთარი მიზნები სხვების მიზნებს, რათა შეძლო, გონებით და ერთობლივი თანამშრომლობის უნარით მართო ქვეყანა. პუტინს აქვს ხასიათის ყველა ის აუცილებელი თვისება, რათა მან შეძლოს, ღირსეულად მართოს ჩვენი ხომალდი, რომლის მასშტაბიც მთელ კონტინენტს უტოლდება. თუ ჩვენი პრეზიდენტის ფორმებით ვიმსჯელებთ, ჯანმრთელობა მშვენიერ მდგომარეობაში აქვს და ის კიდევ ძალიან დიდხანს აპირებს ამ ხომალდის მართვას. დღევანდელი მსოფლიოს შემხედვარეს, მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო ვლადიმერ ვლადიმერის ძეს, რომ არასასიამოვნო სიურპრიზები, რაც შეიძლება, ნაკლები გვქონდეს ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს ყველა პირობა საიმისოდ, რომ შექმნილი ვითარება ჩვენს სასარგებლოდ, შიდა განვითარებისთვის, საკუთარ ძალებზე ორიენტირებისთვის გამოვიყენოთ. ხელისუფლების კრიტიკა ადვილია, გვერდიდან კიდევ უფრო ადვილი; საკუთარი სამზარეულოდან ხომ მთლად „კაიფია“, ხოლო კიდევ უფრო მაგარია, თუ ეს სამზარეულო ევროპაშია. სულ სხვა საქმეა იმის გაგება, რომ ქვეყანას სჭირდება, თითოეულმა ადამიანმა, ინდივიდუალურად, იფიქროს, რა შეუძლია მას საკუთარი ქვეყნისთვის გააკეთოს. როგორც რუსული პრაქტიკა აჩვენებს, ეს ყველას არ შეუძლია. ვლადიმერ ვლადიმერის ძე რუსეთისთვის აკეთებდა და აკეთებს კონკრეტულ საქმეებს. მინდა, რომ არც ჩვენ შეგვეშინდეს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და გილოცავთ დაბადების დღეს, – წერს თინა კანდელაკი სოციალურ ქსელში.

ვლადიმერ პუტინი 62 წლის იუბილეს ტაიგაში აღნიშნავს. ის პრეზიდენტობის პერიოდში საკუთარ დაბადების დღეზე დასვენებით პირველად სარგებლობს.

***pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## რატომ უხდის ქალებს ბოდიშს სანდრო კაკულია?



მსახიობის თქმით, ხანდახან სასიამოვნოა, როცა თბილად განათებულ სამზარეულოში ცოლი დგას და საჭმელს ამზადებს.

– ვეთანხმები, რომ ხშირ შემთხვევაში, ე.წ.-მა სიყვარულის გზამ შეიძლება კაცის კუჭზე გაიაროს. თან მერიდება ამის თქმა, რადგან ძალიან ძველ ქართულ კაცურად გამომდის. რეალურად ასეა. ხანდახან არის, სამსახურიდან დაბრუნებულს (როცა მთელი დღე ზიხარ და საშინელ ფასფუდის უბედურებებს ჭამ) გინდა, სახლში გემრიელი, ტაფაზე ან ქვაბში მომზადებული კერძი მიირთვა ან დაინახო ცოლი, რომელიც თბილად განათებულ სამზარეულოში დგას და რაღაცას გიკეთებს. ეს არის დამოკიდებულება და არა კულინარიული მოთხოვნილება. ჩემს შემთხვევაში ასეა. შეიძლება იმ წუთას გამიკეთოს ერბოკვერცხი და მაინც, სიყვარულის გზა გაივლის კუჭზე და ერბოკვერცხის ტაფაზე. ხანდახან არის მომენტები, როდესაც კაცს ძალიან ჭირდება კვება. მერიდება ყველა ქალის და ბოდიშს ვუხდი, ალბათ, ისინი იტყვიან, თუ სიყვარულია, რა შუაშია კუჭი, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ეს რეალურ ცხოვრებაში სხვანაირად ხდება. მინდა განსაკუთრებით მამაკაცებს და ჩემი ასაკის ბიჭებს ვთხოვო, როდესაც თქვენ გვერდით საყვარელი ადამიანია – ცოლი, შეყვარებული, ვეცადოთ, რომ ჩვენი სიყვარულის გზამ მხოლოდ იმ ერთ სიყვარულის გზაზე გაიაროს და არ გადაუხვიოს კუჭისკენ ან სხვა გზებისკენ, რადგან სიყვარული იმსახურებს, რომ იაროს მხოლოდ სიყვარულის გზაზე, – აცხადებს სანდრო კაკულია.

***ambebi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ნუკი კოშკელიშვილს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა



გასული ზაფხული ტელეწამყვან ნუკი კოშკელიშვილისთვის ჯანმრთელობის მხრივ წარმატებული ნამდვილად არ ყოფილა. ნუკის ფეხი გადაუბრუნდა, მოიტეხა და დაახლოებით ერთი თვე თაბაშირში ჰქონდა.

ნუკი რამდენიმე კვირაა, უკვე კარგადაა. ანრი ჯოხაძის ახალ კლიპშიც მიიღო მონაწილეობა და „მარაო რუსთავი 2“-ზე გადაცემისთვისაც ემზადება, რომელსაც თიკა ფაცაციასთან ერთად წაიყვანს.

ნუკი კოშკელიშვილმა რამდენიმე საათის წინ საოპერაციო ბლოკიდან გამოაქვეყნა ფოტო.

მეგობრები შეშფოთებულები კითხულობენ, რა სჭირს ამჯერად. სულ შარში რატომ ეხვევა – ეკითხებიან სოციალურ ქსელში. ზოგი იმასაც წერს, რომ ტელეწამყვანმა ცხვირის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა.

ნუკის ტელეფონზე დავუკავშირდით, თუმცა მან ჩვენ ზარებს ვერ უპასუხა, ცოტა ხნის წინ კი მოგვწერა, რომ ჯანმრთელობის სხვა პრობლემები აქვს, რის გამოც ოპერაცია დასჭირდა, ცხვირი არაფერ შუაშია.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ვისთან ერთად ერთობა ანა მარგველაშვილი — პრეზიდენტის ქალიშვილის უცნობი ფოტოები







ანა მარგველაშვილის მისამართით საზოგადოების ინტერესი მისი გამოჩენის დღიდან არ ქრება. აზრი ამ შემთხვევაშიც ორად არის გაყოფილი.

ერთ ნაწილს მოსწონს მისი გართობის სტილი, კლუბებში სიარული და ქართულ ბომონდთან სიახლოვე. მეორე ნაწილი ამის გამო გოგონას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ.

მას შემდეგ რაც ჟურნალისტებმა ანას სოციალური ქსელიდან ფოტოები გამოაქვეყნეს, პრეზიდენტის ქალიშვილმა საიმედოდ ჩაკეტა საკუთარი პროფილი და ცდილობს ჟურნალისტებს მისი მორიგი გართობის ამსახველი ფოტოები ხელში აღარ ჩაუვარდეთ, თუმცა რამდენიმე ფოტოს ექსკლუზიურად მაინც წარმოგიდგენთ.

როგორც სურათებიდან ჩანს, ანას სამეგობრო წრე მართლაც დიდია. ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გავრცელდა მერსი სულხანიშვილთან და კესარია აბრამიძესთან ერთად გადაღებული სურათები, თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ მათთან ერთად არ ატარებს დროს.

ანამ მოდელი ქრისტინე ძიძიგური და მისი მეუღლე ხუან ბაგრატიონიც გაიცნო.

***reitingi.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ხუბუტია ზის ახლა და ამბობს: ამათაც ხომ შევუკვეთეთ „მუსიკა“, მალე ჩვენს დაკრულზეც იცეკვებენ...



ნანუკა ჟორჟოლიანის მორიგი „ფეისბუკ“-პოსტი მოსკოვში თბილისობის აღსანიშნავად გამართულ კონცერტზე:

– მოსკოვში თბილისობა დამთავრდა:) ძაან საინტერესოდ. ვიღაც ადგენს წყალტუბო-ლონდონის რეისს, რა შუაშია, მაგრამ ნუ კარგია, რომ არ მესმის:) ვიღაც ამბობს, რომ კმაყოფილია მოსკოვში ნანახ საქართველოს დროშაზე, **we dont wonna Putin**-ის ფონოგრამის ფონზე. ვიღაც იხსენებს, რამდენი წელია იცნობს ხუბუტიას, ვიღაც ამტკიცებს, მე სულ არ ვიყავი წინააღმდეგი, სხვები წასულიყვნენო, თუმცა მისი პროტესტი არ მახსოვს კოლეგების კრიტიკის დროს მაშინ:) მე კიდევ მეგონა, რომ წავიკითხავდი განმარტებას: მეგობრებო, არ ვიცოდი თუ ხუბუტიას დაფინანსებულ ღონისძიებაზე მივდიოდით:) რადგან იცოდნენ, რადგან ბედნიერებიც არიან და უფრო მეტიც, კმაყოფილებიც, ხუბუტია ზის ახლა და ამბობს: ამათაც ხომ შევუკვეთეთ „მუსიკა“, მალე ჩვენს დაკრულზეც იცეკვებენ:) ასეა ეს! – წერს ჟორჟოლიანი.

***newposts.ge***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.... გასავალს დალოცეო
2. შებოლილი ხორცი
3. ბუდისტი მასწავლებელი
4. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
5. სირაქლემას სახეობა
6. ძუნწი კარდინალი (დიუმას მიხედვ.)
7. მსახიობი ქეით ...
8. სერიალი „ნიკიტა“ ... უილსონი
9. მსახიობი ... ბესინჯერი
10. მსახიობი ბენ ...
11. კარიკატურისტი ... ფირცხალავა
12. ზევსის მერიქიფე ბიჭი
13. „მეფე ერეკლე და ... ქალი“
14. ევერესტი, ანუ ...
15. რბილი ტყავი
16. ტუჩის საცხი
17. პოეტი ... გრანელი
18. მზის პირველი სხივები
19. მდინარე ინდოეთში
20. მონეტების კოლექციონერი
21. სერიალი „... ქალი იზაურა“
22. სიმბოლიკა: ... და ურო
23. „მონანიება“ ... არავიძე
24. ქონდრისკაცი
25. სისხლისმწოველი ზომბი
26. თვალზე რულის მოკიდება
27. ტარიელი, ავთანდილი და ...
28. მსახიობი იგორ ...
29. ... ბეგაშვილი
30. ბერტოლუჩი. „უკანასკნელი ...“
31. ესტონეთის დედაქალაქი
32. სახელმწ. არაბთა გაერთიან. ...
33. მფრინავი ტრანსპორტი
34. მეცნიერება ადამიანის აგებულებაზე
35. მსახიობი ბენისიო ... ტორო
36. წყლის საღებავი
37. მსახიობი ... ჩურიკოვა
38. სოფელი თბილისთან
39. ღია მიშენება სახლზე
40. ფეხბურთელი პაოლო ...
41. ცხენების ჭენება
42. შხამიანი გველი
43. სანტა-კლაუსის მშობლ. მხარე
44. სახელმწიფო აზიაში
45. მსახიობი ... მონტანი
46. მომღერალი ... ჯაბუა
47. ველური ვაშლი
48. ნიავი
49. იუპიტერის თანამგზავრი
50. ძველი, დანჯღრეული მანქანა
51. საპორტო ქალაქი საფრანგ.
52. გადამტინრავი კედელი
53. ქრისტიან. წმინდა თასი
54. მხ/ფ „... შეკაზმავს ცხენს“
55. ცხარე საწებელი
56. ფრანგული პარფიუმ. ფირმა
57. სამხედრო ფლოტი
58. მდინარე ჩინეთში
59. ქვიშით დაფარული სივრცე
60. პატარა მდინარე
61. ჯვარედინად საქარგავი ქსოვილი
62. მდინარის დატოტვილი შესართავი
63. მსახიობი ვახტანგ ...
64. თეატრალური ხელოვნ. ჟანრი
65. მსახიობი ... მანჯგალაძე
66. მომყ ოლი, ანუ ...
67. მღრღნელი. აგებს კაშხალს
68. ქალაქი თურქეთში
69. სახის ნაწილი
70. ფეხბურთელი ნიკოლა ...
71. ფეხბურთის „მეფე“
72. ვერდის ოპერა
73. მევახშის საბუთი
74. იტალიური ღვეზელი
75. მეტამორფოზის ბოლო სტადია
76. მსახიობი ... ელექტრა
77. „ნაუტილუსის“ კაპიტანი
78. რომის პაპის გვირგვინი
79. წერილობითი დადებითი დახასიათება
80. მსახიობი ... ჯიგარხანიანი
81. კონტინენტი, ანუ ...
82. ჰუნების ბელადი
83. ამ სახელმწიფოში გადის არხი
84. მწვანე მინერალი
85. მოდელი ... კასტა
86. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები
87. ამაღლებული ადგილი ორატორისათვის
88. მუსიკ. ვიდეორგოლი
89. დაბა ახალციხის ქვაბულში
90. ვერდის ოპერა
91. სიმსივნე: სითხით სავსე პარკი
92. არხების გადასართავი ხელსაწყო
93. პოეტი ქალი ... ლესბოსელი
94. პატარა ვირი
95. შხამიანი გველი
96. ერთგვარი ნარკოტიკი
97. აბაჟურიანი ნათურა მაღალ ფეხზე
98. ტყის სული წვეტიანი ყურებით
99. ერთგვარი პატარა ნამცხვარი
100. სანელებელი
101. რეჟისორი თენგიზ ...
102. შტატი აშშ-ში
103. „ხევის ბერი გოჩა“ პერსონაჟი
104. ჩელენტანო ფილმში
105. საბჭოთა მანქანათმშენებელი
106. ჩუქჩების საცხოვრ. სახლი
107. ძალიან იშვიათი ნივთი
108. კუნძული. იპოვეს უხელო ვენერა
109. აზნაურის „ნამუსი“
110. მეხის ასარიდებელი ძელაკი
111. აიბოლიტის მტერი ყაჩაღი
112. პატარა ფორმის ნაწარმოები
113. მხატვარი ... ჯაფარიძე
114. შტატი აშშ-ში
115. ... სჯობია ღონესა
116. მომღერალი ... მჟავია
117. პარიკმახერის ოთახი
118. ... არიან მორწმუნენი
119. ამერიკელი მომღერალი ქალი
120. ჩეხური გამათბობელი
121. ზღაპრის პირველი სიტყვა
122. ზღვის დიდი კიბორჩხალა
123. სამკაული ყელზე
124. ჩანთოსანი დათვი
125. რეჟისორი ემირ ...
126. მსახიობი ანუკ ...
127. დარეჯანის სასახლე თბილისში
128. ქალაქი სამეგრელოში
129. ჯერ შრომა, ... ხტომა
130. ზღვაოსანი ჯეიმს ...
131. სახელმწიფო აფრიკაში
132. ღორების ჯოგი
133. ... პუგაჩოვა
134. კიპლინგის მოთხრობა
135. მსახიობი ... ფარულავა
136. მსახიობი ბრედ ...
137. ჩრდ. კორეის ფული
138. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
139. თანამგზავრი, ანუ ...
140. ..., დი, ტრი, ტეტრა
141. მტაცებელი ფრინველი
142. მსახიობი ... ბრინერი
143. ნიშნავს საწინააღმდეგოს
144. ყველაზე მაღალი ბალახი
145. ჯუჯა სამეფო სან-...
146. შხამიანი ბაყაყი
147. ...-დე-ჟანეირო
148. მსახიობი ოდრი ...
149. ... ურჩევნია მამულსა
150. წყვილი ერთიანი ნარდში
151. მდინარე გერმანიაში
152. კაკაოიანი კანფეტი
153. ქალაქი შიდა ქართლში
154. ღია ტონი, ანუ ...
155. მომღერალი ... ჯორჯი

პასუხები: 1. ფონი; 2. ლორი; 3. გურუ; 4. აგნი; 5. ემუ; 6. მაზარინი; 7. ბლანშეტი; 8. პეტა; 9. კიმ; 10. აფლეკი; 11. გიგლა; 12. განიმედი; 13. ინგილო; 14. ჯომოლუნგმა; 15. ლაიკა; 16. პომადა; 17. ტერენტი; 18. გარიჟრაჟი; 19. ინდი; 20. ნუმიზმატი; 21. მონა; 22. ნამგალი; 23. აბელ; 24. ლილიპუტი; 25. ვამპირი; 26. თვლემა; 27. ფრიდონი; 28. ილინსკი; 29. შორენა; 30. იმპერატორი; 31. ტალინი; 32. ემირატები; 33. თვითმფრინავი; 34. ანატომია; 35. დელ; 36. აკვარელი; 37. ინა; 38. ლილო; 39. აივანი; 40. მალდინი; 41. ჯირითი; 42. ასპიტი; 43. ლაპლანდია; 44. იორდანია; 45. ივ; 46. მაია; 47. მაჟალო; 48. სიო; 49. იო; 50. ჯაბახანა; 51. ჰავრი; 52. ტიხარი; 53. გრაალი; 54. ვინ; 55. მდოგვი; 56. „ისი-პარი“; 57. არმადა; 58. ხუანხე; 59. უდაბნო; 60. ნაკადული; 61. კანვა; 62. დელტა; 63. ნინუა; 64. ტრაგედია; 65. ეროსი; 66. პლაცენტა; 67. თახვი; 68. ტრაპიზონი; 69. ნიკაპი; 70. ანელკა; 71. პელე; 72. „აიდა“; 73. თამასუქი; 74. პიცა; 75. იმაგო; 76. კარმენ; 77. ნემო; 78. ტიარა; 79. რეკომენდაცია; 80. არმენ; 81. მატერიკი; 82. ატილა; 83. პანამა; 84. მალაქიტი; 85. ლეტიცია; 86. „კუკარაჩა“; 87. ტრიბუნა; 88. კლიპი; 89. ადიგენი; 90. „რიგოლეტო“; 91. კისტა; 92. პულტი; 93. საფო; 94. მუტრუკი; 95. კობრა; 96. მარიხუანა; 97. ტორშერი; 98. ელფი; 99. კანაპე; 100. მარილი; 101. აბულაძე; 102. ალასკა; 103. ონისე; 104. ბლეფი; 105. ლიხაჩოვი; 106. იარანგი; 107. რარიტეტი; 108. მილოსი; 109. ულვაში; 110. მეხამრიდი; 111. ბარმალეი; 112. ნოველა; 113. უჩა; 114. ალაბამა; 115. ხერხი; 116. ანანო; 117. სალონი; 118. ნეტარ; 119. შერი; 120. „კარმა“; 121. იყო; 122. ომარი; 123. მძივი; 124. კოალა; 125. კუსტურიცა; 126. ემე; 127. საჩინო; 128. აბაშა; 129. მერე; 130. კუკი; 131. ლესოტო; 132. კოლტი; 133. ალა; 134. „მაუგლი“; 135. ია; 136. პიტი; 137. ვონა; 138. კორსიკა; 139. სატელიტი; 140. მონო; 141. ორბი; 142. იულ; 143. ანტი; 144. ბამბუკი; 145. მარინო; 146. აგა; 147. რიო; 148. ტოტუ; 149. ის; 150. იაგანი; 151. რაინი; 152. შოკოლადი; 153. ბოლნისი; 154. ბაცი; 155. ბოი. იკითხება: ეგზოტიკური ვიტამინები.



ორი დაქალი ჭორაობს:
– ჩემს კოტეს ყოველდღე მოაქვს ულამაზესი ვარდების თაიგული... გინდა-არ გინდა, ფეხების გაშლა მაინც მიწევს...
– რატომ, ლარნაკი არ გაქვს?!.

*****

– ალო, ფსიქიატრიული საავადმყოფოა?
– დიახ.
– მანქანა მომპარეს და დამეხმარეთ ქურდის მოძებნაში!
– ჩვენ რა შუაში ვართ? პოლიციას დაურეკეთ!
– საქმე ისაა, რომ მოპარული ავტომობილი 1986 წლის გამოშვება „ზაპოროჟეცია“!..

*****

ქუჩაში ერთმანეთს ორი მეგობარი შეხვდა. ერთი მოწყენილია, მეორე – ჩაფიქრებული.
მოწყენილი ამბობს:
– გუშინ ჩემი საყვარელი ძაღლი მოკვდა...
ჩაფიქრებული:
– ჩემი სიდედრიც...
– რა, მოკვდა?
– არა, ისიც ძაღლია...

*****

– ჩემო ანგელოზო, ელაპარაკე მშობლებს ჩვენს შესახებ? თანახმა არიან, ვიქორწინოთ?
– კი, ყველაფერი მოვუყევი.
– მერე რაო?
– არ ვიცი... მამაჩემი ჯერჯერობით დუმს, დედაჩემი კი ელოდება, სანამ რამეს იტყვის, რომ მერე მისი საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას!..

*****



– ჩემო ბატონო, რა არის ეს, რა საზიზღრობაა?! რატომ არის პარლამენტში ამდენი სპორტსმენი, მსახიობი და მათნაირები, რომლებიც რაღაც უცნაურ კანონებს იგონებენ? თანაც, იურიდიულ ტექსტებსაც ძლივს არჩევენ!
– ძლივს არჩევენ? არ გადამრიოთ! მე კი მარწმუნებდნენ, რომ მათ კითხვაც არ იციან?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ფრაზები, რომლებიც სიცოცხლის მანძილზე მამაკაცმა აუცილებლად უნდა წარმოთქვას



– დალიეთ, რაც გინდათ, მე ვიხდი!
– შემაერთეთ პრეზიდენტთან!.. მერე, გაალღვიძეთ, ძალიან სასწრაფოა!..
– წამო, აბა, ბიჭო, გარეთ გავიდეთ!
– ძვირფასო, ეს ის არ არის, რაც შენ გგონია. ყველაფერს აგიხსნი.
– შეეხე, ნუ გეშინია...
– ჩემი სისხლი გადაუსხით, ჯგუფი ემთხვევა!
– მიყვარხარ! ცოლად გამომყვები?
– იმედია, სრულწლოვანი უკვე ხარ, არა?!
– ჰო, ასე გადავწყვიტე – ნობელის პრემია საქველმოქმედო ფონდში გადავრიცხე...
– მოიცა, ეს ამხელა თანხა საათში თუ მთელ ღამეში?!
– დედაშენთან ერთად მთელი ცხოვრება ზურგზე ფეხს ვიდგამდი, შენგან რომ რამე გამოსულიყო!..
– ჩემი არ არის, ჩემი დედას ვფიცავარ, ჩამიდეს, ტო!..
– მეც ძალიან მომწონხარ, მაგრამ ცოლი მყავს...
– გაიქეცით, მე დავაკავებ!.. მოდით აქ, თქვენი...
– მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, შეფ.
– ექიმო, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს შარდვის დროს ნემსს მიყრიან.
– მოიცა, თავს ხომ ვიცავდით და როგორ?..
– უჰ, შენი, როგორ იხსნება ეს „ლიფჩიკი“?!
– სწორად გამიგე, რა... და დარწმუნებული ხარ, რომ მამა მე ვარ?
– არაფერს ვიტყვი ჩემი ადვოკატის გარეშე.



– ვფიქრობ, გავუმკლავდები, ოღონდაც, ცოტა ძვირი დაგიჯდებათ.
– პსეოფუროსიპეიცებო, არ მსურს, თქვენს პლანეტას ზიანი მივაყენო, ნუ მაიძულებთ!..
– მთელი ფული „ზეროზე“...
– ბავშვები საიდან ჩნდებიან? წადი და დედაშენი გეტყვის.
– შვებულება უკვე 3 წელია, აღარ მქონია!..
– არ მაინტერესებს, მაინც არაფერს ვნანობ!
– რაო, როდის ჩამოდის შენი ქმარი მივლინებიდან? ჰოდა, ძალიანაც კარგი...
– სასწრაფოა? წყლები უკვე დაღვარა, დაუჩქარეთ!..
– არა, მადლობა, ფული მირჩევნია.
– ძვირფასო, მგონი, მე უკვე...
– არა, სულაც არ ხარ გასუქებული.
– ვიზიარებ, ძალიან მეწყინა! თუკი რამეში დაგჭირდები, არ მოგერიდოს...
აქვე ფრაზები, რომელთა ართქმა მამაკაცებს დიდად არ დააზარალებს:
– ოცეულო, სწორდი! სმენა!
– შეიძლება, გაკოცო?
– ამ ქვეყანას ძლიერი ხელი სჭირდება. ეჰ, სტალინი იყოს ცოცხალი?!
– ქალი საჭესთან უარესია, ვიდრე ფაშისტი ტანკში.
– ასეთ ფულს პატიოსანი შრომით ვერ იშოვი, ძმაო!
– ჰალსტუხს პრინციპის გულისთვის არასოდეს გავიკეთებ!..

***kabanik.ru***

## კიბო – მცენარეული ზეთის ხელმეორედ გამოყენების მიზეზი



არცთუ იშვიათად, ბევრი დიასახლისი კერძების მომზადებისას ზეთის ხელმეორედ გამოყენებას არჩევს, რაც ოჯახების ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, გასაგებია. სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ ასეთი ნაბიჯით შესაძლოა, საშინელი შედეგები მიიღოს.

ესპანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მცენარეული ზეთის ხელმეორედ გამოყენებას.

აღმოჩნდა, რომ ის უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ ღვიძლზე, არამედ ონკოლოგიურ და სხვა სერიოზულ დაავადებებსაც იწვევს.

სპეციალისტებმა ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომლის დროსაც მოხდა მცენარეული ზეთის გაცხელება და მისი ქიმიური შემადგენლობის გაანალიზება. შემოწმდა როგორც მზესუმზირის, ისე ზეითუნისა და ასევე, სელის ზეთები.

სამწუხაროდ, სამივე შემთხვევაში მეცნიერებმა თითქმის იდენტური შედეგები მიიღეს. კერძოდ, დადგინდა, ზეთი გამოიმუშავებს ალდეჰიდებს, ნივთიერებას, რომლის კერძებში მოხვედრა შეიძლება ონკოლოგიური დაავადებების, პარკინსონისა და ალცჰეიმერის გამომწვევი მიზეზი გახდეს.

***myjane.ru***

## შიზოფრენიას ანტიბიოტიკებით უმკურნალებენ



დიდ ბრიტანეთში მასშტაბური კვლევები ჩატარდება, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, შიზოფრენიის მკურნალობის ძალიან ადვილი მეთოდის მოძიება მოხერხდეს.

როგორც ირკვევა, მეცნიერებს სურთ, შიზოფრენიაზე ანტიბიოტიკების ზემოქმედება გამოსცადონ.

კვლევები ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის შიზოფრენიის კომისიის მიერაა ინიცირებული, რისი მიზეზიც ის გახდა, რომ მსოფლიოში დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა დაავადება სწორედ ანტიბიოტიკების გამოყენებით დამარცხდა.

კერძოდ, შიზოფრენიის მქონე რამდენიმე პაციენტს, რომელთაც პნევმონია დაემართათ, ანტიბიოტიკ მინოციკლინით უმკურნალეს. რამდენიმე კვირის შემდეგ, პაციენტებს ორივე დაავადება გაუქრათ, თუმცა ანტიბიოტიკების მიღების შეწყვეტამ ფსიქიკური დაავადების სიმპტომები კვლავ აღადგინა.

***pronowosti.ru***

## პრეზერვატივი... შტრიხკოდით?



დიახ, დიახ, ჩვენ არაფერი შეგვშლია, თქვენ კი არაფერი მოგლანდებიათ და ახლავე ყველაფერში გაგარკვევთ.

თურმე, სპეციალისტები უსაფრთხო სექსის გლობალური რუკის შექმნას აპირებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როცა პრეზერვატივს გამოიყენებთ, არ დაგავიწყდეთ, ამის შესახებ ამერიკის ოჯახის დაგეგმვის ცენტრის სპეციალისტებს აცნობოთ. ამისთვის საკმარისია მხოლოდ პრეზერვატივის შეფუთვაზე დატანილი შტრიხკოდი ტელეფონით გადაიღოთ. ასე და ამგვარად მეცნიერებს უსაფრთხო სექსის ერთგვარი რუკის შექმნა სურთ.

პროექტის ფარგლებში მათ 55 ათასი უფასო პრეზერვატივიც გაავრცელეს. გარდა ამისა, გაეშვება სპეციალური საიტიც, სადაც მომხმარებლებმა თავიანთი უკანასკნელი სექსუალური აქტის შესახებ უნდა ისაუბრონ. რა თქმა უნდა, ანონიმურად.

პროგრამის სახელწოდებაა „როცა შენ მას იკეთებ“ და ემსახურება დაუგეგმავი ფეხმძიმობისა და ვენერიული დაავადებების საკითხზე საზოგადოების უფრო მეტ გახსნილობას.

***pronowosti.ru***

## უძლეველობის შეგრძნებას კინაღამშეწირული ამერიკელი სამხედროების სულელური ისტორია



არ თქვათ ახლა, „კინაღამ არ ითვლებაო“, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ინციდენტი მინიმუმ რამდენიმე ათეული სამხედროს სიკვდილით დამთავრდებოდა, მაქსიმუმ კი ამერიკა ესპანეთს ომს გამოუცხადებდა.

გთავაზობთ რეალურად დარეგისტრირებულ საუბარს ესპანელებსა და ამერიკელებს შორის „ზღვის ექსტრემალური სიტუაციების“ სიხშირეზე. კურიოზულ ინციდენტს ადგილი 1997 წლის 16 ოქტომბერს ჰქონია და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უძლეველობის შეგრძნება თვით ზეძლიერი არმიის მქონე ამერიკისთვისაც კი დამღუპველია.

ესპანელები (ხარვეზებით ისმის ხმა): ...გელაპარაკებათ „ა-853“, გთხოვთ, მიბრუნდით 15 გრადუსით სამხრეთისკენ ჩვენთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად. გეზი პირდაპირ ჩვენკენ გაქვთ. მანძილი 25 საზღვაო მილი.

ამერიკელები (აქაც ხარვეზებია): ...გირჩევთ, კურსი თქვენ შეცვალოთ 15 გრადუსით ჩრდილოეთისკენ, ჩვენთან შეჯახების თავიდან ასაცილებლად.

ესპანელები: პასუხი უარყოფითია. ვიმეორებთ, მიბრუნდით 15 გრადუსით სამხრეთისკენ შეჯახებისგან თავის ასარიდებლად.

ამერიკელები (ისმის სხვა ხმა): გელაპარაკებათ ამერიკის შეერთებული შტატების ხომალდის კაპიტანი. შეცვალეთ კურსი 15 გრადუსით ჩრდილოეთისკენ შეჯახებისგან გადასარჩენად.

ესპანელები: თქვენს წინადადებას ვერ განვიხილავთ ვერც შესაძლებლად და ვერც ადეკვატურად. გირჩევთ, თავად მიბრუნდეთ სამხრეთისკენ 15 გრადუსით, რათა არ შეგვეჯახოთ.

ამერიკელები (უხეში ხმით): ხაზზეა კაპიტანი რიჩარდ ჯეიმს ჰოვარდი, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზომით მეორე ავიამზიდ „ლინკოლნის“ კაპიტანი. თანხლებას გვიწევს 2 კრეისერი, 6 გამანადგურებელი, 4 წყალქვეშა ნავი და მხარდამჭერი გემების უზარმაზარი რაოდენობა. მე თქვენ კი აღარ გირჩევთ, მე თქვენ გიბრძანებთ, რომ კურსი 15 გრადუსით ჩრდილოეთისკენ შეცვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდებით, მივიღოთ ყველა საჭირო ზომა ჩვენი ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დაუყოვნებლივ მოგვშორდით კურსიდან!!!

ესპანელები: ხაზზეა ხუან მანუელ სალას ალკანტარა. ჩვენ ორნი ვართ. თანხლებას გვიწევს ჩვენი ძაღლი, ვახშამი, 2 ბოთლი ლუდი და იადონი, რომელსაც სძინავს. მხარს გვიჭერს ორი რადიოსადგური. არ ვაპირებთ არსად გადახვევას, რადგან ხმელეთზე ვართ და „ა-853“ შუქურაზე ვიმყოფებით. გაგებაში არ ვართ, რომელი ადგილი გვიკავია ესპანურ შუქურებში. შეგიძლიათ, მიიღოთ თქვენი იდიოტური ზომები და ყველაფერი გააკეთოთ, რომ თქვენი დედა მოტ...ული ხომალდის უსაფრთხოება დაიცვათ, რომელიც კლდესთან შეჯახების მერე ნამსხვრევებად იქცევა. ამიტომ კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გირჩევთ: შეცვალეთ კურსი 15 გრადუსით სამხრეთისკენ, რათა არ შეგვეჯახოთ.

ამერიკელები: ოკ. მიღებულია! მადლობა!..

***mainfun.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1.გამოთქმა: ... წყალი დალია
2.„თოვზინები იცინიან“ ... წივწივაძე
3.რეჟისორი ბერნარდო ...
4. რძის პროდუქტი
5. პირის ნაცვალსახელი
6.დიზაინერი ჯორჯო ...
7.მომღერალი ... ლავინი
8.კენიის დედაქალაქი
9.ნიდერლანდის დედაქალაქი
10.ფედერიკო ფელინის ფილმი
11. საოპერო პარტია
12.... დაიჭირავს სიკვდილსა
13.რევოლუციური მუშათა კლასი
14. შემწვარი კვერცხი
15. ოტელოს ეროვნება
16. მსახიობი ... ბროუდი
17. თხრილი წყლისათვის
18.მომღერალი ჯასტინ ...
19. ცეცხლსასროლი იარაღი
20. ცხენის რძის სასმელი
21.კომპოზიტორი არნო ...
22. ქიმიური ჭურჭელი
23. ქალაქი სომხეთში
24. მარცვლოვანი მცენარე
25.კოჭის პოზიცია კოჭაობაში
26. რუსი მხატვარი
27. ზღვაოსანი ფერნანდო ...
28. უდაბნო აფრიკაში
29. უმაღლესი ხარისხის მინა
30. ავსტრიის დედაქალაქი
31. მეტყველების ორგანო
32. მთათა სისტემა ამერიკაში
33. მხატვარი ალბრეხტ ...
34.საწარმოო წუნის დაბრუნება
35.ფინეთის დედაქალაქი
36. ნილოსის დუმფარა
37.კომპოზიტორი ვაჟა ...
38. ბრონტე. „... ეარი“
39.ქვის სახლის მშენებელი
40. ხორცპროდუქტების ფირმა
41.მხ/ფ „... ჰელსინგი“
42. ბოჭკოვანი მცენარე
43.მომღერალი ... ოსბორნი
44. მსახიობი ანდრეი ...
45. მხარე საქართველოში
46.ჩოგბურთის სათამაშო მოედანი
47. მოდელი ... კროუფორდი
48. დასარტყამი საკრავი
49. მსახიობი ... კემბელი
50.მხ/ფ „სიყვარულის ფორმულა“ მგალობლიშვილის გმირი გრაფი ...
51. ხუთიანი ნარდში
52.ძველი წიგნების გამყიდველი
53. მდინარე ინდოეთში
54.მომღერალი ... ქერი
55. ყელის ტკივილი
56. წვეტიანი გოდორი
57.მევიოლინე ვანესა ...
58. შინაური ფრინველი
59.შერლოკ ჰოლმსის როლში ვასილი ...
60.სასამართლოში: ... მსაჯული
61. ნერვული სისტემის აღგზნება
62. დუმბაძე. „... კანონი“
63. შვეულმფრენი
64. ქალი, ქალიშვილი
65.მესაყვირე არმსტრონგი
66. უღელტეხილი კავკასიონზე
67. მსახიობი ... ჟაკობი
68. მსახიობი ... მაკდაუელი
69.ადამიანი ხარის თავით
70. ისტორიული კრეისერი
71. მწვანილი
72.მსახ. ... უჩანეიშვილი
73. ოქროს ძაფი
74. დაწმენდილი შაქარი
75. ალკოჰოლური სითხე
76. ცელქი
77. დიდი ჩაქუჩი
78. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
79. ... ნიკულინი
80.... მწამს, ბოლო მაკვირვებს
81. სფეროს ფორმის ტყვიები
82.წიგნების მაღაზიათა ქსელი თბილისში
83. იგივეა, რაც მღვდელი
84. შალის საპალტოე ქსოვილი
85.მომღერალი თიკა ...
86. კრემიანი ნამცხვარი
87. ბიბლიური მოსეს ძმა
88. დაკოდილი ცხენი
89. ძიძა
90. იტალიის კუნძული
91.დრამატურგი კარლო ...
92. მსახიობი ... მიდლერი
93. ორგანული ნივთიერება
94. მწერალი ... ტოლსტოი
95. ვაზის ჯიში
96. ჰოლანდიელი მხატვარი
97. ხორცის ნაჭერი
98. პატარა მარხილი
99. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
100. თავის მოსაკვეთი მანქანა
101. დედამიწის გუმბათი
102. საღებავი, ჟანგმიწა
103. პატარა ზომის კენგურუ
104. იატაკის ხალიჩა
105. მდინარე კახეთში
106. სლავური ანბანი
107.მისი დედაქალაქია დამასკო
108. ქალაქი იაპონიაში
109. კურორტი თურქეთში
110. ნახატებიანი თავსატეხი
111. „ერი ..., გულადი“
112.რეჟისორი ... იოსელიანი
113.მომღერალი ... ჩარლზი
114. მსახიობი ... ჩურიკოვა
115. ახალი ზელანდიის მკვიდრი
116. ჩონჩხის შემადგენელი
117. ჯუჯა კამეჩი
118. ზამბახი
119.მხ/ფ „...-მეტსახელად ნიანგი“
120. ინის საპირისპირო
121.კომპოზიტორი ... პაულსი
122. მომავლის რწმენა
123. მორზეს ანბანის ნიშანი
124. ძაღლის ნაშიერი
125. პარალელი და ...
126. ჟაკ-... კუსტო
127.რეჟისორი ... დამიანი
128. ძველი ქსოვილის ნაგლეჯი
129.მსახ. ... გოძიაშვილი
130. ვირას საპირისპირო ბრძანება
131. თვალის ფერადი გარსის ანთება
132. ... სუხიშვილი
133.მსახ. ბილი ... ტორნტონი
134.მომღერალი ... ბრეგვაძე
135. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა
136.რეჟისორი ... ჩოხელი
137. ინგლისური ლუდი
138. მსახიობი ანჯელინა ...
139. საფეხურებიანი ასასვლელი

პასუხები: 1. ჩაილურის; 2. სევერიან; 3. ბერტოლუჩი; 4. დო; 5. მე; 6. არმანი; 7. ავრილ; 8. ნაირობი; 9. ამსტერდამი; 10. „რვანახევარი“; 11. არია; 12. ვერ; 13. პროლეტარიატი; 14. ომლეტი; 15. მავრი; 16. ედრიან; 17. არხი; 18. ტიმბერლეიკი; 19. კოლტი; 20. კუმისი; 21. ბაბაჯანიანი; 22. კოლბა; 23. აბოვიანი; 24. ბრინჯი; 25. ალჩუ; 26. კუსტოდიევი; 27. მაგელანი; 28. კალაჰარი; 29. ბროლი; 30. ვენა; 31. ენა; 32. კორდილიერები; 33. დიურერი; 34. რეკლამაცია; 35. ჰელსინკი; 36. ლოტოსი; 37. აზარაშვილი; 38. ჯეინ; 39. კალატოზი; 40. „ნიკორა“; 41. ვან; 42. სელი; 43. ოზი; 44. მირონოვი; 45. რაჭა; 46. კორტი; 47. სინდი; 48. დაირა; 49. ნივ; 50. კალიოსტრო; 51. ბეში; 52. ბუკინისტი; 53. ინდი; 54. მერაია; 55. ანგინა; 56. გიდელი; 57. მეი; 58. ინდაური; 59. ლივანოვი; 60. ნაფიცი; 61. ტონუსი; 62. მარადისობის; 63. ვერტმფრენი; 64. დიაცი; 65. ლუი; 66. მარუხი; 67. ირენ; 68. ენდი; 69. მინოტავრი; 70. „ავრორა“; 71. ოხრახუში; 72. ლევან; 73. სირმა; 74. რაფინადი; 75. სპირტი; 76. ანცი; 77. ურო; 78. ტატამი; 79. იური; 80. ფიცი; 81. საფანტი; 82. „ბიბლუსი“; 83. ხუცესი; 84. დრაფი; 85. ფაცაცია; 86. ტორტი; 87. აარონი; 88. იაბო; 89. გადია; 90. სიცილია; 91. გოცი; 92. ბეტ; 93. პირიდინი; 94. ლევ; 95. ცოლიკაური; 96. რემბრანდტი; 97. არტალა; 98. ციგა; 99. ტოლიატი; 100. გილიოტინა; 101. ცა; 102. ოხრა; 103. ვალაბი; 104. ფარდაგი; 105. იორი; 106. კირილიცა; 107. სირია; 108. კიოტო; 109. ანტალია; 110. რებუსი; 111. პურადი; 112. ოთარ; 113. რეი; 114. ინა; 115. მაორი; 116. ძვალი; 117. ანოა; 118. ირისი; 119. დანდი; 120. იანი; 121. რაიმონდ; 122. იმედი; 123. ტირე; 124. ლეკვი; 125. მერიდიანი; 126. ივ; 127. დამიანო; 128. ძონძი; 129. ვასო; 130. მაინა; 131. ირიტი; 132. ილიკო; 133. ბობ; 134. ნანი; 135. „დაისი“; 136. გოდერძი; 137. ელი; 138. ჯოლი; 139. კიბე. იკითხება: ლივ ტაილერი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);



## დამტკიცებულია, რომ მარტოობა... გადამდებია

– მარტოსულ ადამიანთან ურთიერთობამ შესაძლოა, თქვენც ასეთად გაქციოთ, – მოულოდნელი და დაუჯერებელი მოსაზრება გაავრცელეს კვლავაც ამერიკელმა მკვლევარებმა.

აღმოჩნდა, მარტოობა ისეთივე გადამდები ყოფილა, როგორც მაგალითად, გრიპი. შემთხვევათა დაახლოებით ნახევარში, „დაავადებას“ შეუძლია, გადავიდეს მეგობარზე, ნათესავსა და ოჯახის წევრზე.

სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც კვლევას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თითქმის 10 წელი ატარებდნენ.

ასეთი მასშტაბური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მარტოსულ ადამიანთან ურთიერთობა მთელი 50 პროცენტით ამაღლებს მის მსგავს მარტოსულად ჩამოყალიბების რისკს.

ექსპერტების აზრით, ბუნებრივი დასნებოვნების პროცესი შემდეგნაირად ხდება: მარტოსულების მსგავსად, მათი ნაცნობ-მეგობრები ცდილობენ, მინიმუმამდე შეამცირონ კონტაქტები.

– ეს მართლაც გრიპის მსგავსი დაავადებაა, რომელიც ძალიან ადვილად ვრცელდება, – ამტკიცებენ ამერიკელი მკვლევარები.

*tainamira.ru*

## როდის ბერდება ტვინი?



იმის შესახებ, რომ ადამიანი სიბერის გზას დაადგა, შეგვიძლია, გარეგნობიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ. მაგრამ ის როგორღა უნდა გავიგოთ, ტვინი როდის იწყებს დაბერებას?

ბრიტანელმა მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის დახმარებითაც დაადგინეს: თავის ტვინის დაბერება იწყება არა 60 წლის ასაკში, როგორც ამას, ალბათ, ბევრი ფიქრობს, არამედ ეს უსიამოვნება თავს უკვე 45 წლის ადამიანებშიც იჩენს.

კვლევაში დაახლოებით შვიდი ათასი ადამიანი მონაწილეობდა. მათი ასაკი 45-დან 70 წლამდე მერყეობდა.

ექსპერიმენტი 10 წლის მანძილზე გრძელდებოდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში რესპონდენტები რეგულარულად გადიოდნენ ტესტებს, რომელთა დახმარებითაც მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების განსაზღვრა ხდებოდა.

აი, როგორი აღმოჩნდა კვლევების შედეგები: დაახლოებით 45 წლის ასაკში თავის ტვინის შესაძლებლობები 3,6 პროცენტით იკლებს, 65-70 წლისთვის ეს მაჩვენებელი უკვე თითქმის 10 პროცენტია მამაკაცებში, ქალებში კი – 7,4 პროცენტი.

*myjane.ru*



## ელექტრონული სიგარეტით, მამაკაცმა ენა დაკარგა

ერთ უსიამოვნებასთან ბრძოლა 57 წლის ფლორიდელ ტომ ჰოლუეის მეორესთან შეჯახებად დაუჯდა – ელექტრონული სიგარეტით მან საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო.

როგორც ირკვევა, ელექტრონული სიგარეტი, რომელსაც ტომ ჰოლუეი მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად ეწეოდა, პირდაპირ პირში აუფეთქდა. შედეგად, მამაკაცმა ენის ნაწილი და წინა კბილები დაკარგა. ასევე, სახის დამწვრობაც მიიღო.

სავარაუდოდ, აფეთქების მიზეზი სიგარეტის ელემენტი უნდა გამხდარიყო. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ზუსტი მიზეზი უცნობია, დაზარალებული კი გასაგები მიზეზების გამო, გამოძიებას ჩვენებას ვერ აძლევს.

*top.rbc.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**8 ოქტომბერი:** დღეს საქმის კეთება როგორც არ უნდა გეზარებოდეთ, მოჩვენებითად მაინც იმოქმედეთ, რომ უსაქმურობაში არ დაგადანაშაულონ.

**კურო 22.04-21.05**
**8 ოქტომბერი:** დღეს ფინანსურ საკითხებში უნდა გაგიმართლოთ, თანაც იმაზე მეტად, ვიდრე გეგონათ. დროში გაწელილი საქმეები არ წამოიწყოთ, იღბალი მუდამ თქვენთან არ იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**8 ოქტომბერი:** სულიერი კომფორტის მოსაპოვებლად, სკანდალის მაგვარი რაღაც დაგჭირდებათ. ამის გარეშე მოიწყენთ. ამის მიუხედავად, შეეცადეთ, მსგავსი სურვილები არ დაიკმაყოფილოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**8 ოქტომბერი:** მეგობარმა შეიძლება ძალიან გაწყენინოთ. საკმაო დრო დაგჭირდებათ მისი პრობლემის მოგვარებისთვის თუ არა, მის დასაწყნარებლად მაინც.

**ლომი 23.07-22.08**
**8 ოქტომბერი:** შეიძლება ძალიან სერიოზული მიზეზები გქონდეთ ტყუილების სათქმელად და თავის მოსაკატუნებლად, მაგრამ ამის გაკეთება მაინც არ ღირს. არ გამოგივათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**8 ოქტომბერი:** სამყარო შეიძლება უცნაური მოგეჩვენოთ. თავის მხრივ, თქვენ იქნებით გარშემომყოფთათვის უცნაური. შეეცადეთ, შეიცვალოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**8 ოქტომბერი:** შეგიძლიათ თავს უფლება მისცეთ და დამკვიდრებული წესებისა და მორალის მიმართ თქვენი პროტესტი გამოხატოთ. ვიღაცამ შეიძლება ვერ გაგიგოთ, სამაგიეროდ, გულს მოიოხებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**8 ოქტომბერი:** თუ დღეს მარტოობას არ აირჩევთ, შეიძლება კამპანიის სული და გული გახდეთ. თქვენი ორიგინალური ხუმრობებით ყველას გაამხიარულებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**8 ოქტომბერი:** შეიძლება დღეს იმდენად უცნაური აზრები გაგიჩნდეთ, რომ იფიქროთ, ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ. არ იდარდოთ, ეს დროებითია.

**თხის რქა 22.12-19.01**
**8 ოქტომბერი:** დღეს მოვლენების ტემპი და მიმართულება მკვეთრად შეიცვლება. შედეგის მისაღებად არაორდინარული, მაგრამ თანმიმდევრული მოქმედება მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**8 ოქტომბერი:** თუ ოდესმე მემუარების წერას შეუდგებით, ეს დღე მასში აუცილებლად მოხვდება. დღეს სათანადო სიმაღლეზე იქნებით.

**თევზები 19.02-20.03**
**8 ოქტომბერი:** როგორც ჩანს, ვიღაცამ თვალი დაგადგათ და დღეს მზრუნველობის ობიექტად შეიძლება იქცეთ. შესაძლოა, დღეიდან თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყოს.

## ბრიტანეთის სკოლებში ბავშვებს საშინაო დავალებებს აღარ მისცემენ



და იცით, რა გახდა ამის მიზეზი? თურმე, მშობლებს პროტესტი გამოუთქვამთ, რომ ბავშვებისთვის სკოლაში მიცემული საშინაო დავალების შესრულებაზე ოჯახის მთელი თავისუფალი დრო იკარგება.

დიდი ბრიტანეთის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 7-დან 11 წლის ბავშვების საშინაო დავალების შესრულებას დღეში ნახევარ საათზე მეტი არ უნდა დასჭირდეს. მაგრამ მშობლები წუწუნებენ, რომ ზოგი დავალების შესრულებას გაცილებით მეტი დრო მიაქვს. ამასთანავე, თუკი ოჯახს ერთზე მეტი შვილი ჰყავს, საშინაო დავალებები მშობლებს, ფაქტობრივად, საკუთარი თავისთვის დროს აღარ უტოვებს.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ სკოლებში საშინაო დავალებების მიცემა სავალდებულო აღარ იქნება და თითოეულმა მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რამდენად დატვირთოს ბავშვები და პრინციპში, მათი მშობლები.



ბრიტანეთის განათლების მინისტრის მაიკლ ჰოუვის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საშინაო დავალებების შესრულება სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი ნაწილია, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამის ვალდებულება აღარ ექნებათ. რაც შეეხება უფროსი კლასების მოსწავლეებს, მათ შემთხვევაში საშინაო დავალება კვლავაც აქტუალური და სავალდებულო იქნება.

ცნობილია ისიც, რომ ზოგიერთმა დაწყებითმა სკოლამ უკვე უარი თქვა ტრადიციულ საშინაო დავალებებზე. მაგალითად, კენტის საგრაფოში შემოღებული აქვთ სპეციალური კლუბები, სადაც დამატებით დავალებებს ყველა მოსწავლე კვირაში ერთხელ ამზადებს.

*gazeta.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




ორი დაქალი საუბრობს:

– გოგო, იცი, რა ვიფიქრე? წარმოიდგინე, ადამიანებს ისეთივე ვირუსები რომ ჰქონდეთ, როგორიც კომპიუტერს. ვთქვათ, ტროიანის მსგავსი... გერევა მარჯვენა და მარცხენა, ირგვლივ ყველას უმხელ შენს საიდუმლოს, რომელიც ჯობდა, შენთვის შეგენახა... შემდეგ კი ბევრი რამე გავიწყდება...

– გოგო, ეგეთი ვირუსები ხომ ყველა მარკეტში იყიდება: 0.5, 0.7 და 1-ლიტრიან ბოთლებში!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ⋙ 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.39